

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან



თინათინ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება 8-11 გვირგვინი



საიუბილეო

# უნივერსიტეტი

29 მაისი, პარასკევი, 2009 წ. №7 (2089)

## 1918 წლის 26 მაისი თანამედროვე კონტექსტში

25 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღის — 26 მაისისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა გაიმართა. ღონისძიება გახსნა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ისტორიული გაკვეთილი უნდა გავითვალისწინოთ და გავიხსენოთ, რომ საქართველო დღესაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. „დამოუკიდებლობას გაფრთხილება სჭირდება. ქართული სახელმწიფო ძალიან ახალგაზრდაა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვინდა თანამედროვე, ეფექტურად ფუნქციონირებადი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ამის მიღწევა მოკლე დროში რთულია. ამას სჭირდება გარკვეული ტრადიციები, პასუხისმგებლობით განწყობილი სამოქალაქო საზოგადოება და მისი ადეკვატური სახელმწიფო ინსტიტუტები. დღეს ჩვენ თანამედროვე კონტექსტში განვიხილავთ 1918 წლის 26 მაისს,“ — განაცხადა გიორგი ხუბუამ.



ანდერძის სახე უნდა მისცეს დღევანდელმა პოლიტიკურმა ელიტამ. პირველი არის საქართველოს ეროვნული ერთიანობის საუკუნეობრივი პრობლემა. 1917 წელს, როდესაც პირველი ეროვნული ყრილობა გაიმართა, ქართული საზოგადოების ყველა სოციალური ფენა გაერთიანდა. მათი მიზანი იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და როცა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება დადგა, დაუყოვნებლივ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, დაპირისპირება არ შემწყდარა, მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა, მაგრამ არასოდეს გაცილებია პლურალიზმის ფარგლებს და არასოდეს გადაზრდილა პოლიტიკურ კონფრონტაციაში ან შეიარაღებულ დაპირისპირებაში. ეს მე მაშინდელი პოლიტიკური ელიტის მთავარ დამსახურებად და მთავარ პოლიტიკურ გაკვეთილად მიმაჩნია.

**მაია ტორაძე**  
დისკუსიაზე, რომელსაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრების შთამომავლები — თეიმურაზ ლორთქიფანიძე და ოთარ ზურაბიშვილი, წარმოდგენილი იყო სამი მოხსენება. მომხსენებლებმა საზოგადოებას საინტერესო თემები შესთავაზეს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, თსუ-ის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის დიმიტრი შველიძის მოხსენებაში — „პირველი რესპუბლიკის ხიბი და გაკვეთილები“ საუბარი იყო დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილ გარემოზე და იმ მიზეზებზე, რამაც, მომხსენებლის აზრით, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოიწვია. „მინდა სამი ისეთი გარემოება გავიხსენო, რომელსაც პოლიტიკური

## რამდენად მყარი საფუძველი დაედო ქართულ სახელმწიფოებრიობას 1918 წლის 26 მაისს?

ინტერვიუ ისტორიკოს ვახტანგ გურულთან

**ენიო კაპულაი**  
— XIX საუკუნის 60-90-იან წლებში ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ქართველი ერი იდეურად ილია ჭავჭავაძემ მოამზადა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის იდეები საფუძვლად არ დაედო 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას. სოციალ-დემოკრატებმა სხვა სულისკვეთება „შთაბერეს“ 26 მაისს. საინტერესოა წინა პერიოდის შეფასება იმისთვის, რომ უკეთესი წარმოდგენა გვქონდეს — რამდენად მყარი საძირკვის აშენება სცადეს მაშინ ქართული სახელმწიფოებრიობისთვის?  
— ქართველი ერი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას იწყებს XIX საუკუნის დამდეგიდან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეტაპები იყო: XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებები (1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება კახეთში, 1819-1920 წლების აჯანყება იმ-

ერეთსა და გურიაში), 1832 წლის შეთქმულება, XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა. ილია ჭავჭავაძემ შეძლო ქართველი ერის იდეურად მომზადება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. ამ მოძრაობის არსი ილიამ ასე გამოხატა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. ილიამ ქართველი ერის ისტორიაში ებრაელთა მამამთავრის მოსეს როლი შეასრულა. ისევე როგორც მოსემ ებრაელი ერი, ილიამაც ქართველი ერი აღთქმული ქვეყნის კარიბჭესთან მიიყვანა. ვერც მოსე და ვერც ილია აღთქმულ ქვეყანაში ვერ შევიდნენ. 1918 წლის 26 მაისი ილიას იდეების რეალიზებას წარმოადგენდა, ოღონდ იმდროინდელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, გარკვეული მოსაზრებით, ამას საზიარ გაუსვეს — ქართულ პოლიტიკურ ელიტას ძალზე ცუდი მეხსიერება აღმოაჩნდა. ეს ეხება არა მარტო სოციალ-დემოკრატებს, არამედ ყველა პოლიტიკურ პარტიას და მათ შორის ეროვნულ-დემოკრატებსაც. 26 მაისს ეროვნული საბჭოს ისტორიულ სხდომასზე არავის იყო გამომდგომი ეთქვა: საქართველოს სახელმწი-

ფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით ილიას მიერ დაწყებული დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე დასრულდა. სხვა საკითხია რამდენად მყარი საფუძველი დაედო ქართულ სახელმწიფოებრიობას 26 მაისს. საფუძველი იყო იმდენად მყარი, რამდენადაც მომნიშვნელოვანი იყო ქართული პოლიტიკური ელიტა, პოლიტიკური პარტიები, ქართული პოლიტიკის მამები და მთლიანად ქართველი ერი.  
— რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ეროვნული მოძრაობა, რომელიც კოსმოპოლიტიზმის ძლიერმა შემოტევამაც კი ვერ შეაფერხა, თავისებურად გადაგვარეს სოციალ-დემოკრატებმა?  
— XX საუკუნის დამდეგიდან განსაკუთრებით გაძლიერდა კოსმოპოლიტიზმი. იგი მთავარი სენივით მოედო ქართველი ერის ყველა სოციალურ ფენას, მისი გავლენა განიცადა არა მარტო სოციალ-დემოკრატებმა, არამედ სოციალისტ-ფედერალისტებმაც და ეროვნულ-დემოკრატებმაც. საქართველოში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ არ აღმოჩნდა ერის წინამძღოლი, რომელიც კოსმო-

პოლიტიზმის წინააღმდეგ კარგად გააზრებულ ბრძოლას დაიწყებდა. ასე რომ, კოსმოპოლიტიზმი იდეების გავრცელებაში ბრალი ედებოდა არა მარტო სოციალ-დემოკრატებს, არამედ ყველა პოლიტიკურ პარტიას, ყველა პოლიტიკურ ძალას, პარტიულ თუ უპარტიო მოღვაწეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოსმოპოლიტიზმის შემოტევის მოგერიება ძალზე ძნელი იყო, რადგან იგი საერთაშორისო მოვლენას წარმოადგენდა — იგი ყველა ერსა და სახელმწიფოში ებრძოდა ყოველივე ეროვნულს, ყოველივე თვითმყოფადსა და ეკლესიურს. ამის მიუხედავად, საქართველოში კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლა რომ დაწყებულიყო, სავალალო შედეგები გაცილებით ნაკლები სიმძიმის იქნებოდა.  
— 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას რა წინაპირობა უძღოდა როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობის მხრივ?  
— 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არ აღმოჩნდა ერის წინამძღოლი, რომელიც კოსმო-

სტუდენტური Press  
უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველადი პროექტის პრეზენტაცია 8-2 გვირგვინი  
დიმიტრი შაჰკინმა სამინისტროში რეფორმების მიმდინარეობის შესახებ პრეზენტაცია გამართა 8-3,14 გვირგვინი  
წევროლოგიური დაავადებების მკურნალობის მეთოდური და კომპინირებული განვითარების მეთოდებით 8-5 გვირგვინი  
ერგატომი და ერგატომული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში 8-6 გვირგვინი  
თბილისში „ტრადიციული ხელოვნების სტუდენტური ფესტივალი“ იწყება 8-9 გვირგვინი  
თსუ-ის კულტურული დღეები საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო უნივერსიტეტებში 8-15 გვირგვინი

28. 05. 2009

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშნვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის 490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კანონის მე-40 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 24 თებერვლის 18 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების არჩევნების წესის“ 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

- ვბრძანებ:
- 1. დაინიშნოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები 2009 წლის 4 ივნისს.
- 2. დაევალოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიასა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს არჩევნების ჩატარება.
- 3. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.
- 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა

28. 05. 2009

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშნვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის 490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კანონის მე-40 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 24 თებერვლის 18 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების არჩევნების წესის“ 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

- ვბრძანებ:
- 1. დაინიშნოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის არჩევნები 2009 წლის 4 ივნისს.
- 2. დაევალოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიასა და იურიდიული ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს არჩევნების ჩატარება.
- 3. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.
- 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა

# უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველადი პროექტის პრეზენტაცია

13 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველადი პროექტის პრეზენტაცია გამართა.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ 2008 წლის შემოდგომაზე თსუ-ში USAID-ის მხარდაჭერით, მსოფლიო სწავლების (World Learning) FORECAST-ის პროექტის ფარგლებში განხორციელდა შეფასება, რომლის მიზანი იყო თსუ-ის მენეჯმენტში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შემოფარგლში ფაქტორების გამოვლენა. საკითხის შესწავლის პროცესში ყურადღება გამახვილდა მართვის სისტემების ძირითად ელემენტებზე და მათ როლზე სტრატეგიული გეგმის განხორციელებაში.

## მანა ტორაძე

ამ შეფასების თანახმად, უნივერსიტეტის საქმიანობა განახლებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად უნდა გაგრძელდეს. ამ მიზნით შეიქმნა სტრატეგიული გეგმის განახლება და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც იზრუნებს სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მონიტორინგზე. ჯგუფი 2009 წლის მაისიდან შეუდგა მუშაობას და ჩამოაყალიბა თსუ-ის ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის სამოქმედო ინსტრუქცია.

სტრატეგიული გეგმის განახლება და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ხელმძღვანელმა, თსუ-ის პროფესორმა ხათუნა სალუქვაძემ პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ უნივერსიტეტში 2006 წლიდან მიმდინარეობს ყოველწლიური რეფორმების პროცესი, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და მმართველობის სრულყოფის მიმართულებით. ამავე წელს შემუშავდა თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არსებული რეალიზების გათვალისწინებით და ადეკვატური და ეფექტიანი ღონისძიებების გატარების მიზნით 2007 წელს განახლდა. მისი თქმით, თსუ-ის სტრატეგიული განვითარების ჯგუფის მუშაობა დამყარებულია 2006 წლიდან შემუშავებული ყველა სტრატეგიული დოკუმენტის სიღრმისეულ შეფასებაზე, აგრეთვე შესრულებული ამოცანების, გადაუჭრელი პრობლემებისა და იმპლემენტაციის პროცესში წარმოქმნილი ახალი გამოწვევების ანალიზზე.

აღნიშნულმა ჯგუფმა, ასევე, დაიწყო მუშაობა თსუ-ის 2010-2013 წლების სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ციკლის ძირითად დოკუმენტებზე, მათ შორისაა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2010-2013 წლებისათვის“, რომლის პირველი პრეზენტაცია 13 მაისს გაიმართა. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოება გაეცნო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სიტუაციურ ანალიზს და ძირითად დასკვნებს. აღინიშნა, რომ სამუშაოს საწყის ეტაპზე სტრატეგიული განვითარების ჯგუფმა მოახდინა იდენტიფიცირება იმ ძირითადი მიმართულებებისა, რომლებიც გადაუდებლად ყურადღებას მოითხოვენ.

ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ანალიზში მითითებულია, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებაში გარკვეული მიმართულებებით პროგრესი უნდა მოხდეს. შესაბამისად, „აუცილებელია გამოვიყენოთ გამო-

ცდილება, გაკეთდეს მიღწევებისა და პრობლემების ანალიზი, რათა თავიდან ავიცილოთ არაპროგრესირებადი დაბრკოლებები და დასახული ამოცანები წარმატებით განხორციელდეს. ასევე, აუცილებელია შესრულებული ამოცანების მდგრადობის უზრუნველყოფა და მისი გაუმჯობესების მიმართულებების მუდმივი ძიება“.

უნივერსიტეტის 2010-2013 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა 5 პუნქტისაგან შედგება: 1) **მისია**, რომელიც მითითებულია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა პროგრესული დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში ღირსეული წვლილის შეტანა განათლებული და კვალიფიციური კადრების მომზადების მეშვეობით. 2) **ხედვა**, რომელიც ნათქვამია, რომ „მდიდარ ისტორიულ ტრადიციებსა და საზოგადოებაში უნივერსიტეტის გამოჩენილი ადგილის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი მიიწინააღმდეგება უნივერსიტეტის მიხედვით განვითარების კონკრეტული ფუნქციის გაძლიერებისკენ, სამაგალითო ხარისხის განათლებისა და კვლევის, სტუდენტებისთვის უწყვეტი პროფესიული და კარიერული განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნასა და ავტორიტეტული სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისკენ საქართველოსა და საზოგადოებაში, საერთაშორისო აკადემიური სამყაროს საკეთილდღეოდ“. 3) **ძირითადი ფასეულობები**, რომელიც სტრატეგიული გეგმის განახლება და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის აზრით, რამდენიმე პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს: მორალური სიმტკიცე; მაღალი აკადემიური მოთხოვნები; აზრის გამოხატვის თავისუფლება; აკადემიური თავისუფლება; ღირსეულის დაფასება; საუნივერსიტეტო თვითშეგნება; 4) **მიზნები**, რომელიც უნივერსიტეტმა ორი მიმართულებით უნდა იმუშაოს — პირველი: წამყვანი საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულება სამაგალითო ხარისხის სწავლებისა და კვლევის მეშვეობით და მეორე: საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ინტელექტუალური ხიდისა და იდეათა გაცვლის მედიუმის როლის შესრულება. 5) **სტრატეგიული მიზნები**, რომელიც უნივერსიტეტმა 2010-2013 წლებში უნდა იზრუნოს: მაღალი ხარისხის აკადემიური მიღწევების, სწავლებისა და კვლევის ხელშეწყობა; ორგანიზაციული და ადმინისტრაციული გაუმჯობესება; მაღალკვალიფიციური სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება; მაღალი საგანმანათლებლო ხარისხის ხელშეწყობა ინფრასტრუქტურის

შექმნა; სტუდენტებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა პროფესიული და კარიერული განვითარებისთვის; სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ურთიერთქმედების გაღრმავება; უნივერსიტეტის როლის წარმოჩენა რეგიონულ და საერთაშორისო არენაზე; ერთიან ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია; მდგრადი ფინანსური განვითარების მიღწევა; ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება.

სტრატეგიული გეგმის განახლება და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ხელმძღვანელმა, თსუ-ის პროფესორმა ხათუნა სალუქვაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმა მხოლოდ პირველი ეტაპისა და მასზე მუშაობა, უნივერსიტეტის კონკრეტული პრობლემების გათვალისწინებით, სწორედ ახლა იწყება, რისთვისაც ჯგუფი ინტენსიურ შეხვედრებს გამართავს ყველა ადმინისტრაციულ რგოლთან და ფაკულტეტებთან, რათა პერსპექტიული განვითარების გეგმა იყოს სრულყოფილი, კონკრეტული და შესრულებადი.

პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმა უნივერსიტეტის მართვის სრულყოფისთვის იქმნება და ის ესება არა მარტო ორგანიზაციულ, არამედ აკადემიური მართვის სრულყოფასაც.

„დღისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ გეგმის შესრულების მხრივ სერიოზული ჩავარდნა გვაქვს. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვახდენთ ამ გეგმით დასახული ამოცანების მონიტორინგს. ჩვენი შეხვედრის მიზანია, რომ აქედანვე დაიწყოთ მზადება უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად. პარალელურად უნდა ვიმუშაოთ არსებული პრობლემების იდენტიფიკაციაზე და განვხორციელოთ მიმდინარე გეგმის მონიტორინგი – რატომ ხდება ისე, რომ ამ გეგმის ნაწილი ვერ ან ხორციელდება. უნდა გვემოადგინოს ჩვენი ნებისმიერი სტრატეგიული გეგმა იდეის დონეზე არ უნდა დარჩეს. ის პრაგმატული და რეალიზებადი უნდა იყოს. ამიტომ ამ ჯგუფის ამოცანა არის იმ რესურსების განსაზღვრა, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია. ფრაგმენტულად ჩვენ ვერაფერს შევცვლით, მაგრამ აუცილებლად უნდა გვექმნოდეს უნივერსიტეტის განვითარების გეგმა, რომელიც ქვეყანაში იქნება პირველი და მაგალითის მიმცემი“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

პრეზენტაციაზე USAID-ის დახმარების ფონდის წარმომადგენელმა მარი ნოვაკმა თავის გამოსვლაში მაღალბა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას თანამშრომლო-



ბისთვის და განაცხადა, რომ USAID-ის დახმარების ფონდი მსგავსი ტიპის პროექტებში მონაწილეობდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანასა და ქალაქში, სადაც სხვადასხვა პრობლემა შეისწავლა. „იმედი მაქვს, წაგადგებათ ჩვენი გამოცდილება. პრეზენტაციაზე თქვენ მხოლოდ ამ პროექტის პროექტს გაეცანით. როდესაც ისეთი ორგანიზაცია, როგორც თქვენი უნივერსიტეტი, ასეთ დიდ პროექტს ახორციელებს, ცხადია, უამრავი საკითხის განხილვა მოგიწევთ. ყველა სიახლე, რაც შეიძლება, აუცილებლად კოორდინირებული უნდა იყოს რეალობასთან და ერთმანეთთან, რადგან თუ ეს ასე არ მოხდება, ისინი ერთმანეთს შეენიწაღმდეგება და ქაოსს გამოიწვევს. ამ პროექტის შექმნის განაცხადი უნივერსიტეტიდან მოდის, მაგრამ ის რომ რეალიზდეს, საჭიროა მასში ჩართოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიც, ადმინისტრაციაც და ყველა დაინტერესებული პირი. ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა შედეგებისკენ მივინსწავით. ყველაფერი გათვლილი უნდა იყოს განათლებული კურსდამთავრებულისა და დასაბეჭდად ვარგისი სამეცნიერო კვლევის მიღებაზე“, — განაცხადა ქალბატონმა მარი ნოვაკმა.

პრეზენტაციაზე კონკრეტული მოსაზრებები ჩამოაყალიბეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა დამანა მელქიშვილმა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ. მათ აღნიშნეს, რომ სტრატეგიული გეგმის პროექტი ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაგრამ მასში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ყველა ის კონკრეტული პრობლემა, რაც უნივერსიტეტში რეფორმის პერიოდში გამოიკვეთა.

პრეზენტაციაზე წარმოდგინეს გრაფიკი, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული გეგმის განახლება და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი განაგრძობს მუშაობას.

## შეცდომის გასწორება:

27 აპრილს გამართულ სტუდენტურ რეგიონალური რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომელიც „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისთვის“ ჰუმანიტარული და კულტურული-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტის ფარგლებში განხორციელდა, სპეციალური პრიზებით დაჯილდოვებულ მომხსენებელთა შორის გახლავთ თსუ-ის სტუდენტი გიორგი ამირანაშვილი თემისთვის: „ნატოს როლი კონფლიქტების მოგვარებაში“.

# 1918 წლის 26 მაისი თანამედროვე კონტექსტში

პირველი გვერდიდან

მეორე გაკვეთილი გახლავთ ორიენტაციის საკითხი. დღეს ხშირად იხსენებენ, რომ პირველმა რესპუბლიკამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაშინ პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა. საქართველოს ხელისუფლება აცხადებდა, რომ საერთაშორისო „ომიანობაში“ ისინი არც ერთ ბლოკს არ ემხრობოდნენ. ეს გახლავთ მთავარი აზრი მაშინდელი საქართველოს ნეიტრალიტეტისა, მაგრამ რაც შეეხება ორიენტაციას, ეს იყო აშკარად გამოკვეთილი პროდასავლური მიმართულება. ნოე ჟორდანიას ამბობდა: „ჩვენ მუდამ ვირჩევით დასავლეთს, აქ ყოყმანი შეუძლებელია“.

მესამე გაკვეთილი და გაკვეთილი, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო, ეს გახლავთ სოციალური საკითხი. საქართველოს ხელისუფლება, მიუხედავად გაჭირვებისა და პირველი მსოფლიო ომის რთული წლებისა, სამინიარო პოლიტიკაში ყველაზე მეტ ყურადღებას სოციალურ საკითხს აქცევდა. დაიწყეს და ვერ მოასწრეს აგრარული რეფორმის განხორციელება, აწესებდნენ მინის მინიმალურ კვოტას, მხარს უჭერდნენ მუშათა ინტერესებს, ფუნქციონირებდა ე.წ. სალიკვიდაციო კომისია, რომლის ნებართვის გარეშეც მუშის ან მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის უფლება არავის ჰქონდა. ვფიქრობ, დღეს, როდესაც ჩვენ მასობრივი უმუშევრობის ქვეყანაში ვცხოვრობთ, ეს პრაქტიკა სწორედ იმდროინდელი საქართველოსთვისაა „გადმოსაღება“, — აღნიშნა თავის მოხსენებაში ბატონმა დიმიტრი შველიძემ, რომელმაც პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების მთავარ შეცდომად მიიჩნია ადგილობრივი ბოლშევიკების მიმართ ლოიალური დამოკიდებულება, რამაც საბოლოოდ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოიწვია.

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ მოხსენებაში — „საქართველოს დამოუკიდებლობა, სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეები“ ფართოდ მიმოიხილა ივანე ჯავახიშვილის მოხსენება „მიმდინარე მომენტის შესახებ“, რომელიც მან უნივერსიტეტში 1919 წლის 26-27 აპრილს წაიკითხა. მოხსენება ეძღვნებოდა სწორედ

იმის განხილვას, თუ რა საფრთხეები ემუქრებოდა სულ რაღაც 11 თვის შექმნილ დამოუკიდებელ საქართველოს.

როგორც ბატონმა მალხაზ მაცაბერიძემ აღნიშნა, საფრთხეებს შორის ბატონი ივანე ჯავახიშვილი ასახელებდა ქართული პოლიტიკის გულბრწყინობას, რაც XVIII საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის მიზეზი გახდა და რის რეციდივსაც მეცნიერი თანამედროვე პოლიტიკაში ხედავდა. მისი აზრით, ეს გულბრწყინობა გამოიხატებოდა: 1) სხვადასხვა ქვეყნების დაპირებებისადმი საქართველოს ხელისუფლების გულბრყვილო ნდობაში; 2) ხელისუფლების იდეოლოგიზირებასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ამ იდეოლოგიის თვალსაზრისით აღქმაში.

მალხაზ მაცაბერიძემ მოხსენებაში აღნიშნა მაშინდელი საზოგადოების იდეოლოგიზირების კიდევ ერთი მაგალითი — სტუდენტთა მიმართული საქართველოს დამოუკიდებელი კრებისადმი, რომელიც საუბარია, რომ საქართველო აქტიურად უნდა ჩართულიყო მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნაში. „არადა საქართველოს მთავარი ამოცანა სახელმწიფოს შექმნა, დამოკიდებულება და გადარჩენა იყო და არა მსოფლიო არქიტექტურაზე ფიქრი“, — განაცხადა მალხაზ მაცაბერიძემ.

„რამ დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა? საქართველოს ხელისუფლებას სჯეროდა, რომ რუსეთი ერთგული იქნებოდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისა, რომელიც საქართველოსთან გააფორმა. ერთი შეხედვით, 1921 წლის თებერვალში საქართველოსთვის საფრთხე აღარც არსებობდა — დასავლეთის სახელმწიფოების და ძლიერი მეზობლების — რუსეთის და თურქეთის მხრიდან დე-იურე აღიარება მიღწეული იყო. მაგრამ რეალურად საფრთხე არსებობდა, რაც, ისევე და ისევე, ხელისუფლების გულბრყვილობის გამო ვერ დანახეს და საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ჩემი აზრით, 1921 წლის თებერვლის შემოტევის მოგერიება, თუკი საქართველო ბოლომდე გამოიყენებდა არსებულ რესურსებს, შეიძლებოდა. მერე როგორ წავიდოდა საქმე, ამას დრო აჩვენებდა,“ — განაცხადა მალხაზ მაცაბერიძემ.

პოლიტოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა სპეციალისტმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ

წარმოადგინა მოხსენება — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ევროპა“. მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის მთავარი ორიენტირი ევროპა იყო. განსაკუთრებით მაღალი იყო გერმანიის პრესტიჟი. მისგან მოელოდნენ ხსნას ჯერ კიდევ XX საუკუნის 10-იან წლებში და ასეც მოხდა — სწორედ გერმანიის დახმარებით აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს ქვეყანა იყო პირველი, ვისთანაც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ კავშირი დაამყარა.

სხვა იყო ინგლისის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. მაშინდელი პრესა აღნიშნავს, რომ გერმანელმა არ შეუღალავთ საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რასაც ვერ ვიტყვით ინგლისზე, რომელიც საქართველოში გერმანიის წასვლის შემდეგ გამოჩნდა. ამ ქვეყნის დამოკიდებულება საქართველოსადმი არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ინგლისის სარდლობა დამოუკიდებლად მოქმედებდა და ქართული სახელმწიფოსადმი სიმპათიასაც არ ამჟღავნებდა. პირიქით, ის მხარს დენიკინს უჭერდა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ხელს უშლიდა.

მიუხედავად ამისა, ქართული სახელმწიფოს ევროპული ორიენტაცია არ შეცვლილა. საქართველოს მესვეურნი ცდილობდნენ, მოეძებნათ ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობის გზები. შედეგად, პარიზის კონფერენციაზე საქართველო დამოუკიდებლად აღიარეს, მაგრამ ამას თავისი წინაპირობაც ჰქონდა — რუსეთში დამარცხდა ის ძალა, რომელიც ევროპაში ფაქტობრივად მთავარი (დენიკინი, კოლჩაკი) და ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს და ერთგვარი ბუფერული ზონა შექმნეს. პარალელურად, საქართველოს ზურგს უკან მიმდინარეობდა მოლაპარაკება რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაზე, რასაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა შეეწინააღმდეგებდა და საფრანგეთმა მხარი არ დაუჭირა საქართველოს განეკუთვნება ერთა ლიგაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ ევროპამ საქართველოს ზურგი აქცია.

ბატონმა ოთარმა აღნიშნა, რომ უნდა გადაიხედოს 1920 წლამდე ინგლისის ჯარების საქართველოში, კერძოდ, ბათუმში ყოფნის



ისტორიული მისიის შეფასებაც. გავრცელებული მოსაზრებით, ინგლისი ოკუპანტი იყო და მისი გასვლა ბათუმიდან დიდი ზარ-ზემით აღინიშნა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ინგლისს საქართველოს ხელისუფლების დამხობა არ უცდია და საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნა ნიშნავდა ამ ტერიტორიაზე ევროპის ყოფნას. პრაქტიკულად ინგლისის გასვლას მოყვა შედეგად ის, რომ ერთა ლიგამ საქართველოს განეკუთვნა უარი უთხრა. მოხსენებელმა აქვე საქართველოს ხელისუფლების ერთ შეცდომად შეაფასა გაამახვილდა ყურადღება — დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობამ ვერ შეაფასა ამერიკის შეერთებული შტატების მხარე როლი მსოფლიო პოლიტიკაში.

მოხსენებების შემდეგ საინტერესო დისკუსია გაიმართა. განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია საკითხმა — შეეძლოთ თუ არა მაშინდელი საქართველოს მესვეურებს საქართველოს დამოუკიდებლობის გადარჩენა. აზრი ორად გაიყო. მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებით, ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუ რუსეთის არმიის შემოტევას გაუძლებდით თებერვალში და ხელისუფლება თბილისს არ დატოვებდა. მეორე ნაწილს კი მიაჩნდა, რომ რუსეთის აგრესიის შეჩერება მაშინ, როცა სომხეთი და აზერბაიჯანი უკვე დაპყრობილი იყო, წარმოუდგენელი იქნებოდა და საჭირო იყო (და დღესაც არის) დიპლომატიის გამოყენება.

დისკუსია დასრულდა ერთგვარი შეთანხმებით იმის თაობაზე, რომ აგრესორთან ბრძოლის დროს ქვეყანამ სახელმწიფოებრიობა უნდა გადაარჩინოს, რაც მხოლოდ ერთიანობით მიიღწევა.

## დიმიტრი შაშკინმა სამინისტროში რეფორმების მიმდინარეობის შესახებ პრეზენტაცია გამართა

15 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სამინისტროში რეფორმების მიმდინარეობის შესახებ პრეზენტაცია გამართა.

მანა ტორაძე

„ჩემი ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შემთხვევითი არ გახლავთ. ცოტა ხნის წინ, უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმების დროს, პირობა დავედე, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებას ჩვენს სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროცესს გავაცნობდი, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი — პროფესიონალი იურისტების პოზიცია და რჩევები“, — განაცხადა ბატონმა მინისტრმა პრეზენტაციის შესავალ ნაწილში.

დიმიტრი შაშკინმა დაწვრილებით მიმოიხილა რეფორმამდელი სიტუაცია სასჯელალსრულებისა და პრობაციის სისტემაში და საზოგადოებას გააცნო ის კონკრეტული სამუშაოები, რომელიც დღეისთვის მიმდინარეობს.

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო 2009 წლის 1 თებერვალს სამი დეპარტამენტის — სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების დეპარტამენტებისადმი შეიქმნა. ამავე სისტემაში შედის ტრენინგ-ცენტრი, სადაც ყველა ის თანამშრომელი, რომელიც სასჯელალსრულებისა და პრობაციის სისტემაში ინიშნება, სპეციალურ მომზადებას გადის. სისტემაში დასაქმებულია 3200 თანამშრომელი. სასჯელალსრულების დაწესებულებაში იმყოფება დაახლოებით 19 000 პატიმარი და 23 000 პრობაციონერი. სასჯელალსრულების სისტემის ბიუჯეტი დღეისათვის 111 მილიონ ლარია.



როგორც ბატონმა მინისტრმა განაცხადა, რეფორმა ითვალისწინებს სასჯელალსრულების სისტემაში რეფორმირების პროცესის გაგრძელებას, პრობაციის სისტემის ძირულ გარდაქმნას, იურიდიული დახმარების სამსახურის გაფართოებას, სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესებას და სამინისტროში ძლიერი კონტროლის მექანიზმის შექმნას.

„დღეისათვის ჩვენს სისტემაში 17 სასჯელალსრულების დაწესებულება და 2 საავადმყოფო შედის. ვარდების რეკოლუციაში“ ყველა სასჯელალსრულების დაწესებულება ამორტიზირებული იყო. პატიმრის კვების ულუფის ნორმა თვეში 23 ლარს და 50 თეთრს შეადგენდა. 2002-2005-2008 წლებში აშენდა 3 ახალი დაწესებულება და ამ პერიოდში პატიმრების ულუფის რაოდენობა 90 ლარამდე გაიზარდა. მათი კვებისთვის სასჯელალსრულების დეპარტამენტში შემოყვანილია კომპანია „შეგა ფუდი“, რომელიც პატიმრების კვების რაციონს ადგენს“, — გა-

ნაცხადა დიმიტრი შაშკინმა. მისივე თქმით, რეფორმის პროცესში მთლიანად შეიცვალა სასჯელალსრულების დაწესებულების ავტოპარკი და თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით კონტროლდება დაწესებულებების შიდა და გარე პერიმეტრები.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ სამინისტრო პატიმართა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავს. 2009 წელს გაიხსნა გეგუთის 8 სასჯელალსრულების დაწესებულება, რომელიც მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. დაწყებულია რუსთავის 1 საერთო რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებისა და ქსნის 7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მშენებლობა, რომელიც 18 თვეში დასრულდება.

რეფორმის ფარგლებში დაიწყო, ასევე, ლაითურის და ნინოწმინდის საერთო და მკაცრი რეჟიმების სასჯელალსრულების დაწესებულებების მშენებლობა, მაგრამ ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, მშენებლობა შეჩერებულია.

„გასაკუთრებული კიდევ ბევრია. უპირველეს პრობლემად რჩება ციხეების გადაცირთულობა. დღეისათვის 7 დაწესებულება საჭიროებს არა რემონტს, არამედ ახლიდან აშენებას. სწორედ ამ მიზნით დაიწყო ლაითურის და ნინოწმინდის დაწესებულებების მშენებლობა, რომელზეც 4 მილიონი ლარი უკვე დაიხარჯა. ლაითურის დაწესებულების აშენება საშუალებას გვაძლევდა, დაგვეზარა ბათუმის, ზუგდიდის და ხონის სასჯელალსრულების დაწესებულებები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროპის ბანკთან, რათა მოიქცნოს ლაითურის დაწესებულების მშენებლობის დასრულების ფულადი რეზერვები. მშენებლობა დაწყებულია ქუთაისშიც და სექტემბერ-ოქტომბერში ეს დაწესებულება მწყობრში ჩადგება“, — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

პრეზენტაციაზე ხაზგასმით აღინიშნა პა-

ტიმართა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით განეული მუშაობის შესახებაც. აღინიშნა, რომ 2007 წელს სისტემაში შევიდა სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“, რომელმაც პატიმრები დააზღვია. ერთი წლის მუშაობის შემდეგ გაიკვია, რომ პატიმრების სამედიცინო დახმარება კი არ გაუმჯობესდა, გაუარესდა. ადგილზე არ იყო საჭირო მედიკამენტები და პატიმრებს ოპერაციები ვერ უკეთდებოდა. ამიტომ „ალდაგამ“ დიდი ჯარშია გადაიხიდა და უარი თქვა სამედიცინო დეპარტამენტის მართვაზე. ამჯერად ამ სისტემაშიც მიმდინარეობს რეფორმირების პროცესი, რის შემდეგაც, ბატონი მინისტრის თქმით, სასჯელალსრულების სისტემაში შეიძლება სამედიცინო დეპარტამენტი ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა.

„დავიწყეთ იმპლიმენტაცია განათლების სისტემის რეფორმირებაზე და დიდი იმედი გვაქვს, რომ ამაში უნივერსიტეტი ჩაერთვება და დაგვეხმარება. განათლება არის ყველა ადამიანის კონსტიტუციური უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი მსჯავრდებულია, ის საქართველოს მოქალაქეა და მას უფლება აქვს, მიიღოს განათლება. ჩვენი თვითმიზანი არ არის ამ ადამიანების დასჯა, ჩვენთვის პრიორიტეტია მათი გამოსწორება და საზოგადოებისთვის დაბრუნება“, — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვან პატიმართათვის განათლების მიღების აუცილებლობაზე. „იმედი გვაქვს, რომ განათლების სისტემის რეფორმირებით ამ ადამიანებს მივცემთ შანსს — საზოგადოებას სრულფასოვან მოქალაქედ დაუბრუნდნენ. ამისთვის დავენერგავთ დისტანციურ სწავლებას. გვგვაძლავს, რომ უნივერსიტეტებში დაიდგას ტელეკამერები და პატიმრებმა ლექციები ონლაინ-რეჟიმში მოისმინონ“, — აღნიშნა მან.

80-14 გვერდი

# რამდენად მყარი საფუძველი დაედო ქართულ სახელმწიფოებრიობას 1918 წლის 26 მაისს?

## ინტერვიუ ისტორიკოს ვახტანგ გურულთან

### პირველი გვერდიდან

— საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს იყო კანონზომიერი შედეგი ქართული ეროვნული მოძრაობისა, რომელიც XIX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ერი სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ვერ აღადგენდა, რომ არა ხელსაყრელი ვითარების შექმნა. კონკრეტულად ეს გამოიხატა პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის პროცესში რუსეთის იმპერიაში დაწყებული სახელმწიფოებრივ კრიზისში, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციასა და რომანოვების იმპერიის აღსასრულში. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ქართველ ერს, ისევე როგორც იმპერიაში შემავალ სხვა ერებს, მიეცათ დამოუკიდებლობის აღდგენის საშუალება. ვიმეორებ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია.

### როგორ მოახერხა საქართველომ 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება?

— საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა უაღრესად რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში. მართალია, ამ პერიოდისთვის საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო ხელი შეეშალა საქართველოში მიმდინარე პროცესებისთვის, მაგრამ ძალზე აქტიურობდა თურქეთი. თურქეთი ამიერკავკასიის ფედერაციულ-დემოკრატიულ რესპუბლიკას ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებდა. 1918 წლის მაისისთვის თურქეთს დაპყრობილი ჰქონდა სომხეთის დიდი ნაწილი. თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული აჭარა და მთელი მესხეთი ბორჯომამდე. სამხედრო-პოლიტიკური ვითარება დღითიდღე კატასტროფული ხდებოდა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. პირველსავე შეხვედრაზე გაირკვა, რომ თურქეთი პოზიციას არ ცვლიდა, პირიქით — უფრო მეტს მოითხოვდა. ბათუმში აკაკი ჩხენკელმა გაარკვია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, საქართველოს გერმანიის იმპერია დაეხმარებოდა.

1918 წლის 14 მაისს საღამოს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც ოფიციალურად დადგინდა გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო-პოლიტიკური კურსი. საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. საქართველოს გერმანია სჭირდებოდა თურქეთის აგრესიისგან თავდაცვისთვის, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ — დამოუკიდებლობის გარანტიად. გერმანიის კი საქართველო თავისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად სჭირდებოდა.

1918 წლის 16 მაისს საღამოს 7 საათზე საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა შეიკრიბა. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხი ასე იყო ფორმულირებული: „წინადადება 3. საყვარელია, რომ მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის მოამზადოს ყოველნაირი ნიადაგი“.

თურქეთის დიპლომატია კარგად ხედავდა, რომ გერმანიის შუამავლობა ამიერკავკასია-თურქეთის მოლაპარაკებაში მისი მოქმედების თავისუფლებას ზღუდავდა, მაგრამ ერიდებოდა გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავებას: მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და არავინ იცოდა — სად და როდის დასრულდებოდა თურქეთის გერმანიის პოლიტიკური თუ სამხედრო მხარდაჭერა. ბათუმშიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი ჩხენკელი დაჟინებით ითხოვდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას.

1918 წლის 25 მაისისთვის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაინიშნა. სხვადასხვა მიზეზის გამო სხდომის დაწყება დაგვიანდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაიწყო 1918 წლის 25 მაისს, ღამის 11 საათზე, თბილისში, ფრედიანის ქუჩაზე მდებარე ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში. სხდომა იმით დაიწყო, რომ ნოე ჟორდანიამ დამსრუტე გააცნო 23 მაისს ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკაკი ჩხენკელი კატეგორიულად ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაფუძნებლად გამოცხადებას. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ 25 მაისს ღამის 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი,

რომელიც, როგორც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გამოაცხადებდა დამოუკიდებლობას. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულ საბჭოს უნდა გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. როგორც ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, სეიმის სხდომა არ შედგა, რადგან მუსავრატელთა და დაშნაკთა ფრაქციებმა უარი განაცხადეს მასში მონაწილეობაზე. აზერბაიჯანელებმა განაცხადეს, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლის შესახებ საკითხი ჯერ არ განუხილავთ და აზრი არ შეუშუშავენ, თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგნი არ არიან. სომხებმა სეიმის სხდომის მეორე დღისათვის გადადების მოთხოვნა იმით დაასაბუთეს, რომ განცხადება ჰქონდათ შესამუშავებელი. ნოე ჟორდანიამ საზგასმით აღნიშნა, რომ ქართველებს სურვილი ჰქონდათ სომხებთან და აზერბაიჯანელებთან თანხმობით ემოქმედათ, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ეს არ მოხერხდა — ამიერკავკასიის სეიმის სხდომა 25 მაისს აღარ შედგებოდა, ამიტომ ქართველებმა საკითხი ცალკე უნდა განიხილათ. ნოე ჟორდანიამ აღმასკომის წევრებს აცნობა, რომ 26 მაისს 12 საათზე შედგებოდა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, სადაც საქართველოს ეროვნული საბჭო საქართველოს დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.

ნოე ჟორდანიას გამოხვლის შემდეგ გაიმართა მსჯელობა, აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ, რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადება სასწრაფოა, დაუყოვნებლივ, იმავე დღეს — 25 მაისს გამოეცხადებინათ აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ნოე ჟორდანიამ განმარტა: ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გაურკვევლობას შექმნიდა, რადგან იარსებებდა ორი მთავრობა — ამიერკავკასიისა და საქართველოსი. აქედან გამომდინარე, ნოე ჟორდანიას ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადგმას მეორე დღისთვის — 26 მაისისთვის. შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამიტომ კენჭისყრაზე დადგა საკითხი — „საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ“. 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა 6 კაცმა, 26 მაისს გამოცხადებას — 4 კაცმა. გადაწყდა: აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოცხადებულიყო 25 მაისს. კენჭისყრის შემდეგ განცხადება გააკეთა ნოე ჟორდანიამ. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებლობას იხსნიდა მოსალოდნელ შედეგებზე.

1918 წლის 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მიიწვი ვერ მოხერხდა. კენჭისყრიდან სულ მცირე ხანში გაირკვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ იყო, რამაც თავისთავად გამოიწვია დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადება 26 მაისისთვის. ნოე ჟორდანიის წინადადებით გადაწყდა: 26 მაისს დილით 10 საათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო 12 საათზე — საქართველოს ეროვნული საბჭო.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნამშობლდღის 4 საათსა და 50 წუთზე გაიხსნა კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გოლოვინის (დღეს რუსთაველის) გამზირზე, იმავე დარბაზში, სადაც თავისი უკანასკნელი სხდომა გამართა ამიერკავკასიის სეიმი.

ეროვნული საბჭოს სხდომას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობდა. მან წარმოთქვა სიტყვა, რომლის დასრულების შემდეგ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. აქტის პირველი მუხლი გაუხსნებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

საქართველოს ეროვნული საბჭო ერთხმად, ყოველგვარი შეწინააღმდეგების გარეშე, მიიღო და დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა ნამუშაღდღეს, 5 საათსა და 55 წუთზე დამთავრდა.

— ვინ აღიარა და ვინ არა საქართველოს დამოუკიდებლობა და რა მიზეზით? როგორ იყო მსოფლიოს რეაქცია?

— ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო,

რომელმაც დე-ფაქტო დასტური მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, თურქეთი იყო (1918 წლის 3 ივნისი). თურქეთმა თავისი პოლიტიკური განზრახვა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო დე-იურე აღიარებითაც დაადასტურა. შემდგომი სახელმწიფო, რომელმაც საქართველო დე-ფაქტო აღიარა, გერმანია იყო (1918 წლის 10 ივნისი). 1918 წლის 28 მაისს კი ფოთში საქართველოსა და გერმანიის მთავრობის მანდატით აღჭურვილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეთანხმებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარების საკითხის განხილვისას სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო დელეგაციები, გამოვეთილად კი ინგლისი, პირდაპირ მიანიშნებდა საქართველოს უმძიმეს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე და სრულიად გაურკვეველ სამართლებრივ ურთიერთობაზე ყოფილ მეტროპოლიასთან და ამჯერად მეზობელ რუსეთთან. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზო ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუ საქართველოს მტრული დამოკიდებულება ექნება რუსეთთან, ინგლისი ვერ ცნობდა საქართველოს. 1920 წლის 7 მაისს გაფორმდა ცნობილი ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის. ამ სამართლებრივი აქტით რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტო და დე-იურე. ხელშეკრულების ძალით რუსეთმა უარი თქვა თავის ყველა უფლებაზე საქართველოს მიმართ. რუსეთი ვალდებული იყო იღებდა, რომ არ ჩაეროდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და საშინაო საქმეებში. ხელშეკრულებას მოჰყვა დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება და ორ ქვეყანას შორის ელჩების გაცვლა. 1920 წლის 14 ნოემბერს საქართველოსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა კიდევ ერთ ხელშეკრულებას — „სატრანზიტური და სავაჭრო ურთიერთობების შესახებ“.

1920 წლის 12 იანვარს ვერსალის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო აღიარების შესახებ. ეს იყო სერიოზული საერთაშორისო წარმატება საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. დე-ფაქტო ცნეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: თურქეთი (1918 წლის 3 ივნისი), არგენტინა (1919 წლის 15 სექტემბერი), იტალია (1920 წლის 12 იანვარი), საფრანგეთი (1920 წლის 12 იანვარი), დიდი ბრიტანეთი (1920 წლის 12 იანვარი), იაპონია (1920 წლის 7 თებერვალი), ბელგია (1920 წლის 26 აგვისტო), რუსეთი (1920 წლის 7 მაისი), გერმანია (1918 წლის 10 ივნისი), ავსტრია (1918 წლის 18 ივნისი), ჩეხოსლოვაკია (1920 წლის 8 აპრილი), პოლონეთი (1921 წლის 28 იანვარი).

საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე ცნობის შესახებ 1920 წლის დეკემბერში პირველად საფრანგეთმა აღძრა ვერსალის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა წინაშე. ინგლისმა და იტალიამ საკითხის გადადება მოითხოვეს, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქითხის განხილვა პრაქტიკულად უარყო. 1921 წლის იანვრის დასაწყისში საფრანგეთმა კვლავ დააყენა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარების შესახებ. მიუხედავად აზრთა ადრინდელი დაპირისპირებისა და მწვავე წინააღმდეგობისა, 1921 წლის 24 იანვარს წინადადება მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა თათბირზე განხილეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარება 1921 წლის 26 იანვარს გადაწყდა. გადაწყვეტილების ოფიციალური დასტური კი 1921 წლის 27 იანვარს ეცნობა იმჟამად პარიზში მყოფ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ვეგენი გეგეჭკორსა და საქართველოს მთავრობას. სულ საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურე აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: თურქეთი (3 ივნისი, 1918 წელი), რუსეთი (7 მაისი, 1920 წელი), გერმანია (24 სექტემბერი, 1920 წელი), შვეიცარია (1920 წელი), ბელგია (27 იანვარი, 1921 წელი), საფრანგეთი (27 იანვარი, 1921 წელი), ინგლისი (27 იანვარი, 1921 წელი), იტალია (27 იანვარი, 1921 წელი), იაპონია (27 იანვარი, 1921 წელი), ავსტრია (17 თებერვალი, 1921 წელი), რუმინეთი (18 თებერვალი, 1921 წელი), ლუქსემბურგი (23 თებერვალი, 1922 წელი), შაიტი (9 მარტი, 1921 წელი), ლიბერია (28 მარტი, 1921 წელი), მექსიკა (14 აპრილი, 1921 წელი), პანამა (26 აგვისტო, 1921 წელი), სიაში (20 ნოემბერი, 1921 წელი).

— რაში მდგომარეობს 1918 წლის 26 მაისის ისტორიული მნიშვნელობა?

— 1918 წლის 26 მაისის მნიშვნელობა მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვყავალიყო: საქართველოში რუსეთის ბატონობის 117 წლიანი პერიოდის შემდეგ ქართველმა ერმა ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში შეძლო დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. წარმატებით დასრულდა დიდი ეროვნული მოძრაობა, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს დაიწყო. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ახალი სახელმწიფო — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ქართველი ერის წინაშე გადაიშალა დიდი პერსპექტივა — საქართველოში მოიპოვა უფლება ადგილი დაეკავებინა მსოფლიოს დამოუკიდებელ, ცივილიზებულ სახელმწიფოებს შორის და შეეთნო გავლენა თავისი ხელი.

— მას შემდეგ, რაც 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ისმის კითხვა — როგორ ვუპატრონეთ და მოვუარეთ ამ დიდებულ განძს?

— ქართველმა ერმა 1918 წლის 26 მაისს შეძლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ახალი სახელმწიფო — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დასრულების შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილმა ვითარებამ შეუძლებელი გახადა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. საბჭოთა რუსეთი ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად. საქართველოს დამოუკიდებლობის ერთადერთი გარანტი დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი) იყვნენ. 1920 წელსა და 1921 წლის დამდეგს დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნებისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა საქართველოსათვის საბედისწეროდ განითვარდა. ინგლისმა და საფრანგეთმა, სრულიად კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, საბჭოთა რუსეთს დაუთმეს მთელი სამხრეთ კავკასია და, მათ შორის, საქართველოც. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოკავშირეების გარეშე დარჩენილ საქართველოს, ცხადია, არ შეეძლო დამოუკიდებლობის დაცვა. მოკავშირეებისგან მიტოვებული საქართველო რუსეთმა დაიპყრო. ასე რომ, „დიდებულ განძს“ ქართველმა ერმა ვერ უპატრონა იმის გამო, რომ დიდმა პოლიტიკამ განირა პატარა საქართველო. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაში გარკვეული როლი არ შეასრულა ქვეყნის შინაგანმა სისუსტემ. საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა სერიოზული შეცდომები, რომელთა ნაწილი გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით და, ამდენად, მათი თავიდან აცილება არ შეიძლებოდა, მაგრამ იყო შეცდომები, რომლებიც არ უნდა დაეშვათ.

— რა ისტორიული პარალელების გავლება შეიძლება 1918 წლის 26 მაისსა და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თანმდევ მოვლენებს შორის?

— ისტორიული პარალელები ყოველთვის მოიკოჭლებენ. ორი მოვლენა შეიძლება რალაცით კიდევ ემსგავსებოდეს ერთმანეთს, მაგრამ სრული მსგავსება წარმოუდგენელია. 1918 წლის 26 მაისი და 1991 წლის 9 აპრილი ერთმანეთს იმით ჰგავს, რომ ორივეჯერ ქართველმა ერმა დამოუკიდებლობის აღდგენა შეძლო. ველიკოდერვავული იმპერიების (რომანოვების იმპერიისა და საბჭოთა იმპერიის) ნგრევის შემდეგ. მსგავსება იყო იმაშიც, რომ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება ორივეჯერ ხელსაყრელი აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

— აგვისტოს ომის შემდეგ - რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს სუვერენიტეტის შელახვის ფაქტი როგორ აისახება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხზე?

— მიუხედავად მცდელობისა, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციამ ვერ შელახა საქართველოს სუვერენიტეტი. საქართველოს სუვერენიტეტი შეილახებოდა მაშინ, რომ ქართულ ჯარს ასე თავდადებით არ ებრძოლა მტრის წინააღმდეგ და საქართველოს ხელისუფლებას ეცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. პირიქით, საქართველოს ბრძოლამ რუსეთის უზარმაზარი სამხედრო მანქანის წინააღმდეგ დაადასტურა, რომ საქართველო სუვერენიტეტის შელახვას არავის დაანებებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ გაერო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, მსოფლიოს დიდი და პატარა ქვეყნები არ აპირებენ საქართველოს ბედის ანაბარად მიტოვებას.

# ნავროლოგიური დაავადებების მკურნალობა ოპტიკური და კომბინირებული გენეტიკური მეთოდებით

## ინტერვიუ პროფესორ მერაბ კოკაიასთან

უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შორის არის რამდენიმე გამორჩეული სახე, რომელიც წარმატებული სამეცნიერო კარიერის პარალელურად ზრუნავს — ახალგაზრდა ქართველ მეცნიერებს გზა უკუკვალის და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ადგილი დაუმიჯნავს. მათ შორის არიან შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორები მერაბ და ზაალ კოკაიები, რომლებიც წელიწადში რამდენჯერმე ახერხებენ ინტენსიური სალექციო კურსების წაკითხვას ქართველი სტუდენტებისთვის.

ზაალ კოკაიას საუნივერსიტეტო მოღვაწეობის შესახებ ჩვენი მკითხველი კარგადაა ინფორმირებული. ამჯერად უკვე მის ძმას, ცნობილ ფიზიოლოგს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ვალენტინის ნევილოვის ცენტრის ექსპერიმენტული ეპილეფსიის კვლევითი ლაბორატორიის გამგეს მერაბ კოკაიას გავაცნობთ.

### მაია ტორაძე

მერაბ კოკაიამ 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი ბიოფიზიკის განხრით. შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1986 წელს იგი გაცვლითი პროგრამით გაემგზავრა შვედეთში, სადაც 1986-87 წლებში დაიწყო მუშაობა ნერვული უჯრედების ტრანსპლანტაციაზე ეპილეფსიაში. შედეგები ნერვული დაზიანების თანამშრომლობა ბაქტონმა მერაბმა საქართველოში დაბრუნების შემდეგაც განაგრძო.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1991 წელს) მან დაიწყო სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ნერვული უჯრედების ტრანსპლანტაცია ეპილეფსიაში“.

1991 წლიდან დღემდე მერაბ კოკაია შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტში მოღვაწეობს.

19 მაისს მერაბ კოკაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოების წინაშე წარდგა ლექციით თემაზე: „ნევილოგიური დაავადებების მკურნალობა ოპტიკური და კომბინირებული გენეტიკური მეთოდებით“.

ლექციამ დიდი დაინტერესება გამოიწვია ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა შორის, რასაც გააძვირდა დარბაზი და ლექციის დასრულების შემდეგ გამართული დისკუსიაც მოწმობდა.



— ბატონო მერაბ, თქვენი ლექციიდან ჩანდა, რომ ლაბორატორია, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, მნიშვნელოვან კვლევებს ატარებს ნევილოგიური დაავადებების, კერძოდ, ეპილეფსიის მკურნალობის ახალი მეთოდების დასადგენად. რა ეტაპზეა, დღეს, ამ ტიპის სამეცნიერო კვლევები? რა პროგრესი შეიმჩნევა და არის თუ არა იმის პერსპექტივა, რომ თქვენმა კვლევებმა შედიან მისცეს იმის საფუძველი, რომ ეპილეფსია განკურნებადი ან, გარკვეულწილად, შეჩერებადი გახდეს?

— ეპილეფსია რთული ნევილოგიური დაავადებაა და მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს — ტვინის ტრავმიდან და ინსულტიდან დაწყებული გენეტიკური და გენური მუტაციებით გამოწვეული მიზეზებით დამთავრებული. ამდენად, მკურნალობის მეთოდები შედარებით შეზღუდულია და თერაპიული მეთოდები, ძირითადად, სიმპტომატური ხასიათისაა. ეპილეფსიისთვის დამახასიათებელი

კრუნჩხვები ტვინში ზედმეტ აღზნებადობასთანაა დაკავშირებული და ეს კრუნჩხვები უნდა შეჩერდეს.

ეპილეფსიის განკურნება, ჯერჯერობით, შეუძლებელია, მაგრამ დღევანდელი ფარმაცოლოგიური მეთოდებით ტვინის აღზნებადობის დათრგუნვა უკვე შესაძლებელია. ასეთ მეთოდებს გვერდითი შედეგები ახლავს თან, რადგან, თუ ტვინის აღზნებადობას დაფორგუნავთ, ყველანაირი პროცესები ნელდება — ადამიანის რეაქციები სუსტდება. მკურნალობის ამ მეთოდებმა შეიძლება ნორმალურ ქცევებზე მოახდინოს გავლენა — ძილისა და ღვიძლის ციკლზე, ფსიქო-სომატურ რეაქციებზე და ა.შ.

ფარმაცოლოგიური მეთოდები, რაც დღეს გამოიყენება, მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, პრინციპულად დიდი ხანია არ შეცვლილა და როგორც დისკუსიის დროს აღინიშნა, ხარისხობრივი ცვლილებები ამ მეთოდებში არ მომხდარა. ამ ეტაპზე დაწყებულია სხვადასხვა კვლევები, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა გენეტიკური და უჯრედული თერაპიული მეთოდები, რომლებიც ეპილეფსიის მკურნალობაში უნდა ჩაერთოს.

ნერვული უჯრედების გადანერგვა მიმართულია დაღუპული უჯრედების ფუნქციის აღსადგენად და ახალი ჯანსაღი უჯრედული კავშირების ჩამოსაყალიბებლად. ასევე, შესაძლებელია მომატებული აღზნებადობის მოვლაც და ღეროვანი უჯრედების ან გენების საშუალებით, რათა შეიცვალოს ან აღდგეს ამ დაზიანებული უჯრედების ნორმალური ფუნქცია. ეს ჯერჯერობით ექსპერიმენტული მოდელები და სისტემებია, მაგრამ არსებობს

მელთა ტვინში შეჰყავთ სამკურნალო გენების მატარებელი ვირუსები. ამ მეთოდით ხდება უჯრედებში გენების ექსპრესია და შესაბამისი პროტეინების წარმოქმნა, რომლებსაც ეს გენები აპროგრამებენ. შეისწავლება, თუ რამდენად ურისკო და უსაფრთხოა ამ მეთოდით მკურნალობა. ფუნქციონალურ გამოსავალზე ჯერ ადრეა ლაპარაკი, რადგან დაკვირვება მხოლოდ პაციენტების შეზღუდულ რაოდენობაზე ტარდება.

რაც შეეხება ეპილეფსიას, ჩემთვის ცნობილია, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება ერთი მხრის იმ ჯგუფს, რომელსაც უნდა, რომ ეს მეთოდი კლინიკაში გამოცადოს და მეორეს მხრივ — ამერიკის საკვებისა და წამლის ადმინისტრაციას შორის, რომელიც იძლევა ახალი მკურნალობის მეთოდების გამოყენების ნებართვებს, რომ ადამიანებზე მოხდეს ამ მეთოდების გამოცდა. ორგანიზაციას აქვს გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს დამატებითი გამოკვლევების გზით და, ალბათ, ახლო მომავალში კლინიკებში ამ გენური თერაპიის მეთოდების გამოცდაც მოხდება ეპილეფსიაში.

— რატომ შეარჩიეთ ლექციის თემა „ნევილოგიური დაავადებების მკურნალობა ოპტიკური და კომბინირებული გენეტიკური მეთოდებით“. რა სიახლეებია ამ მიმართულებით?

— ოპტიკური გენეტიკა არის აბსოლუტურად ახალი მიმართულება, რომელიც სტანდარტული უნივერსიტეტში (აშშ) განვითარდა. ჩვენ გვინდოდა ამ მეთოდის და მიმართულების გამოყენება ეპილეფსიაში. ეს აქამდე არავის გაუკეთებია. ვიცი, რომ ბევრი ჯგუფი მუშაობს ამ საკითხებზე, მაგრამ გამოკვლევებული ამ თემაზე ჯერ არაფერია, ამიტომ, ის მასალა, რომელიც დღეს აქ წარმოვადგინე, ჩემი ლაბორატორიის კვლევის უახლესი შედეგებია, რომლებიც უკვე სამეცნიერო სტატიის სახით არსებობს და ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებას ელოდება.

რაც შეეხება კომბინაციურ გენურ თერაპიას, ესეც ახალი კონცეფციაა. ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც ნახა, რომ რეცეპტორების გენური გადაცემა და ექსპრესია და შემდეგ მათი კომბინაცია სხვა ასევე გადაცემული გენის პროდუქტებთან, შესაძლებელია და უკეთეს შედეგებს იძლევა. ეს უკვე აღწერილია სამეცნიერო სტატიაში, რომელიც ასევე უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება.

— კონკრეტულად რას გულისხმობს ეპილეფსიის მკურნალობის კომბინირებული და ოპტიკური მეთოდები?

— თუ დაინიშნავთ კომბინაციური მეთოდებით, აღვნიშნავ, რომ აქამდე ხდებოდა ცალკეული, ერთეული გენების გადაცემა, ანუ ტრანსდუქცია თავის ტვინში და შემდეგ მათი ფუნქციის შესწავლა — თუ რამდენად შესაძლებელია ერთეული გენების გადაცემით ფუნქციის აღდგენა და თერაპიის ახალი მეთოდების განვითარება. თითოეულ ნივთიერებას, ან თითოეულ პეპტიდს, რომელსაც ჩვენ შევისწავლით, აქვს თავისი რეცეპტორი. შესაბამისად, არსებობს სხვადასხვაგვარი რეცეპტორი, რომელთაც სხვადასხვა პასუხი შეუძლიათ გამოიწვიონ ერთი და იგივე პეპტიდთან ანუ ლიგანდთან დაკავშირების შედეგად. ანუ ერთ რეცეპტორს თუ კრუნჩხვების დამთრგუნველი ეფექტი აქვს, მეორე რეცეპტორი კრუნჩხვებს აადვილებს.

ჩვენ ვივარაუდეთ, რომ თუკი ამ ლიგანდის გენის ტრანსდუქციას დაემატება რეცეპტორის გენიც, ამით სამკურნალო ეფექტი გაძლიერდება და სხვა რეცეპტორებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი ნაკლებ გავლენას იქონიებს საერთო შედეგზე.

ეს კომბინაცია არ ზღუდავს მარტო რეცეპტორს და ლიგანდს. აქ შეიძლება მოხდეს კომბინაცია გენებისა, რომლებიც დაავადების სხვადასხვა ასპექტში მონაწილეობენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს უფრო რეალური მიდგომაა, რადგან როგორც წესი, ყველანაირი დაავადება რთული და კომპლექსური პროცესია და ხშირად მრავალი გენური ფაქტორების ცვლილებებითაა გამოწვეული. ამდენად, გულუბრყვილობა იქნება ვივარაუდით, რომ მხოლოდ ერთი რომელიმე გენის გადაცემით აღდგენით დაავადების ყველა ფუნქციურ ასპექტს.

მეორე მიმართულება არის ოპტიკური გენური თერაპია, რომელიც ვიყენებთ ბაქტერიული უჯრედული მემბრანის, ანუ გარ-

სის პროტეინებს, რომლებიც წარმოადგენენ იონურ არხებს, ან იონურ ტუმბოებს. დადებითი ან უარყოფითი მუხტის მატარებელი იონები, არხების ან ტუმბოების სინათლით გააქტიურების დროს გადაინაცვლებენ ამ მემბრანული ელემენტების გავლით უჯრედის შიგნით და ინვევენ ამ უჯრედების აღზნებას ან შეკავებას. ამიტომ თუ ჩვენ ამ არხების გენს გადავცემთ ნერვულ უჯრედებს, განათებით შეგვიძლია აღვაგზნოთ ან შევკავოთ ეს უჯრედები. ეს ეპილეფსიის შემთხვევაში ხელსაყრელია, რადგან შესაძლებელია ზედმეტი აღზნებადობა სინათლის საშუალებით დავაქვეითოთ. ამიტომ ჰქვია ამ მეთოდს ოპტიკური ანუ ოპტოგენეტიკური თერაპია.

— კიდევ რა კვლევებითა და კავებულ თქვენი ლაბორატორია და არის თუ არა სხვა ქვეყნებშიც ლაბორატორიები, რომელიც ამავე მეთოდებზე მუშაობენ?

— გარდა გენური თერაპიისა და ოპტოგენეტიკური თერაპიისა, ჩვენ ვმუშაობთ ღეროვან უჯრედებზე და ვსწავლობთ, როგორ ხდება ღეროვანი უჯრედების გადანერგვის დროს ნერვულ უჯრედებთან მათი ჩამოყალიბება და არსებულ ნეირონულ წრედებში ინტეგრაცია. ვაკვირდებით ამ უჯრედების სინაფსურ კავშირებს — შეუძლიათ თუ არა გადანერგილ ღეროვან უჯრედებს გავლენა იქონიონ ტვინის და ტვინის უბნების ფუნქციის ნორმალიზაციაში.

— რამდენად რეალურია ღეროვანი უჯრედების გამოყენება მკურნალობის თვალსაზრისით? საქართველოში ეს მეთოდი თითქმის პანაცეად მონათვია, მაგრამ რეალურ შედეგებზე ჯერ არ გვსმენია. ხელშესახებია ღეროვანი უჯრედების გადანერგვის მკურნალობა?

— ეს მეთოდი კვლევის დონეზეა, მაგრამ საკმაოდ პერსპექტიულია. მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში უკვე აკეთებენ გადანერგვას, მაგრამ, ძნელი სათქმელია, რამდენი წელი დასჭირდება ამ მეთოდის სრულყოფილად დანერგვას. ჯერჯერობით ამ მეთოდის კლინიკაში გამოყენებას „ღეროვანი უჯრედების ტურიზმი“ შეიძლება დავარქვათ, რადგან შედარებით არასერიოზული მცდელობებია. ახლო მომავალში, სადაც 5-10 წლის განმავლობაში, ის შეიძლება დაინერგოს კლინიკებში და, მართლაც, შედეგები გახდეს. მანამდე საჭიროა კიდევ კარგად შევისწავლოთ მისი უსაფრთხოება, რადგან უსაფუძვლო და ნაადრევმა გამოყენებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მთელი ამ დარგის განვითარებაზე.

— სასიამოვნოა, რომ ფიზიოლოგიაში ქართველებს ისეთი მაღალი დონის მეცნიერები ჰყავთ, როგორც თქვენ და თქვენი ძმა, პროფესორი ზაალ კოკაია ბრძანდებით. ამიტომ ლოგიკური იქნება კითხობით — რამდენად მჭიდრო კავშირები გაქვთ ქართველ მეცნიერებთან იმისთვის, რომ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდებს გაუკვალოთ გზა დიდი მეცნიერებისკენ?

— ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვაქვს საქართველოსთან. იცით, რომ ზაალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონველი პროფესორია და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. მეც ანალოგიური მონვევა მაქვს ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტიდან. ამასთანავე, გვყავს ქართველი სტუდენტები ლუნდში, რომელთა პროფესიულ ზრდაზეც ვზრუნავთ. მაგალითისთვის შემიძლია დავასახელოთ ავთანდილ ნანობაშვილი, რომელიც ჩემი დოქტორანტი გახლდათ და იქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამჟამად ჩემს ლაბორატორიაში მუშაობს ნატალია ავალიანი, რომელიც ასევე წარმატებით მოღვაწეობს მეცნიერებაში. ზაალის ლაბორატორიაში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ვლადიმერ დარსალიამ. კიდევ ველოდებით სტუდენტებს ახლო მომავალში. ასე რომ, ეს კონტაქტები გვაქვს და ვცდილობთ, რომ ჩვენს ლაბორატორიებში ყოველთვის გვყავდეს ქართველი სტუდენტები.

— ხომ არ გაქვთ კონკრეტული შეთავაზება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მომავალი თანამშრომლობის თაობაზე?

— უნდა გითხრათ, რომ ძალიან მიხარია ნებისმიერი საჭიანი შემთავაზება ქართული უნივერსიტეტების და სამეცნიერო ინსტიტუტების მხრიდან. მოხარული ვიქნები, თუ ასეთი შემთავაზება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდანაც იქნება.

# ერბატივი და ერბატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში

საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია

## თამარ მარუაშვილი

21-23 მაისს „კავკასიის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერითა და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით თსუ-ში საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის თემა იყო: „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში (იბერიულ-კავკასიური და მსოფლიოს სხვა ენები)“. კონფერენციაზე იმთავითვე აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ენის ისტორიულ-შედარებით შესწავლას, განვითარების ტენდენციებს, კანონზომიერებებს და ასე შემდეგ.

გრამატიკული ნორმების დადგენა მეცნიერულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. მეცნიერება განსაკუთრებულ მნიშვნელობას გრამატიკულ მოვლენათა შედარების საკითხებს ანიჭებს. ეს საკითხები რომ დღესაც აქტუალურია, კარგად გამოჩნდა კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს, დაღესტნის, ჩეჩენეთის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების და ინსტიტუტების მეცნიერები, რუსეთის (სანქტ-პეტერბურგი, მოსკოვი) მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

„ამ კონფერენციის ჩატარების იდეა ერთი წლის წინ დაიბადა. ერგატივისა და ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ენათმეცნიერებაში არის მორფოსინტაქსის საკვანძო საკითხი. ამ საკითხის კვლევასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანად მივიჩნევთ ტიპოლოგიის საკითხსაც. ამიტომაც კონფერენციის მოცულობა ამ თვალსაზრისით გასც-

არა მარტო კავკასიოლოგიის ინსტიტუტის მიმართ, არამედ ამ კონფერენციის მაღალ დონეზე გამართვის თვალსაზრისითაც.

„უახლესი თეორიები და ჰიპოთეზები, კვლევების შედეგები აქცენტები და ახალი ასპექტები, ცხადია, მუდმივად ცვლიან ენათმეცნიერულ სურათს, უფრო ნათლად იკვეთება უმთავრესი ენათმეცნიერული ფასეულობანი, იხვევება ენის შესახებ მეცნიერების ფუნდამენტური ცნებები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეცნიერის, მკვლევარის მეცნიერული მოსაზრებების, იდეების შესწავლა და გაზიარება. იმედოვნებ, რომ ეს საერთაშორისო კონფერენცია ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ენათმეცნიერების განვითარების გზაზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების თარიღი არ შეცვლილა, რადგან ვთვლით, რომ მეცნიერებას არ აქვს პოლიტიკური საზღვრები, რადგან იგი ჭეშმარიტების მსახურია! მეცნიერთა ასეთი ფორუმი ხელს შეუწყობს პოლიტიკური ამინდის დათბობას დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის, რაც, დამეთანხმებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია!“ — განაცხადა ცირა ბარამიძემ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: გ. ლამაშიძე — „კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტი (თბილისი), ზ. მალაევა — ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ნადასას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის ნამყვანი მეცნიერთანამშრომელი (მაჰაჩყალა), ს. პატიევი — ინგუშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინგუშური ფილოლოგიის კათედრა (მაგასი), ი.

ყურადღების ცენტრში. რადგან კავკასია ჩვენი სამშობლოა, ამიტომ ორმაგად ვგრძნობთ იმ პასუხისმგებლობას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და მეცნიერებაში გვაკისრია. კავკასიის საკითხების აქტუალურობა ჩვენს შემთხვევაში იმაში მდებარეობს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, თბილისში, უკვე რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა გაიმართა. ასეთი შეხვედრები ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ცენტრის სხვადასხვა ქვეყნებშიც. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო კავკასიოლოგების საერთაშორისო კონგრესი (2007 წ. ოქტომბერი), არნოლდ ჩიქობავას 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი (2008 წ. ოქტომბერი), ფრანგი ენათმეცნიერის აკადემიკოს ჟორჟ დიუმივილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთობლივი ქართულ-ფრანგული კონფერენცია და დღევანდელი კონფერენციაც.

მადლობა მინდა ვუთხრა ამ კონფერენციის ორგანიზატორებს, სტუმრებს, რომლებმაც მოახერხეს ასეთ რთულ პერიოდში თბილისში ჩამოსვლა. მართალია, კონფერენცია, პირველ რიგში, სამეცნიერო ხასიათისაა, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმ კონტაქტებსაც, რომელიც ამ პერიოდში მყარდება მეცნიერთა შორის და ყველას მომავლის იმედით განაწყობს“, — აღნიშნა ბატონმა ვაჟა შენგელიამ.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობაზე, მის მეცნიერულად არგუმენტირებულ დასაბუთებაზე ისაუბრა მიხეილ ქურდიანმა. „როდესაც ლაპარაკი იყო ერგატიულ კონსტრუქციაზე, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებდნენ მის ტიპოლოგიურ მახასიათებლებზე. არსებობდა სხვადასხვა თეორიები, სხვადასხვა სკოლების თვალსაზრისები, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ჩვენი დიდი მასწავლებლის არნოლდ ჩიქობავას მიერ.

მინდა საგანგებო მადლობა გადავუხადო ქალბატონ ცირა ბარამიძეს, რომელმაც ყველაზე კარგი მომენტი შეარჩია ამ კონფერენციისათვის.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ადრე ასე თვლიდნენ: იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერება რწმენის საგანი უფრო მეტად იყო, ვიდრე ცოდნის. უფრო მეტიც, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთი დანეტერესებული პირები, რომლებიც ჩვენს ჩრდილო-კავკასიულ, სისხლისმომკვებ ურჩევდნენ არც კი გამოეყენებინათ ტერმინი — კავკასიური ენები, თითქოს ამ ენათა ნათესაობა დამტკიცებული არ ყოფილიყო. დღეს ეს პრობლემა გადაწყვეტილია. იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა მარტო რწმენის საგანი აღარ არის. ის ცოდნის საგანი გახდა და, ამ მხრივ, დიდი როლი არნოლდ ჩიქობავას მოსწავლეებმა შეასრულეს. დიდმა მეცნიერმა მათ გაცხოველებული მუშაობა დაუსახა კომპერატივისტიკის მხრივ ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის კრებულში.

დღეს უკვე გამოცემულია ფუნდამენტური და კაპიტალური მონოგრაფიები, სადაც ცალსახად, შემომწებითი მეთოდებით არის განმტკიცებული ამ ენათა ნათესაობა. შესაბამისად, ჩვენს დღევანდელ კონფერენციას უკვე სხვა ფონი აქვს. აქ აღარ შეიძლება ლაპარაკი ჰიპოთეზებზე, თვალსაზრისებზე ამ ენათა ნათესაობის შესახებ. ეს უკვე მეცნიერულად დადასტურებულია და, შესაბამისად, სრულიად ახლებურად გააზრებულია. არნოლდ ჩიქობავას თვალსაზრისით, მინაგანი რეკონსტრუქციით რაც იყო მიღწეული ერგატიული კონსტრუქციის კვლევაში, უკვე შესაძლებელია მისი განხილვა კომპერატივისტიკის პოზიციებიდანაც. ამიტომ მინდა, ყველას მოგილოცოთ ეს ახალი ეტაპი ენათმეცნიერებაში და იმედოვნებ, რომ ჩვენი ყოველი შემდგომი შეხვედრა იმ ღრმა მეცნიერული კვლევების გაგრძელება იქნება, რომელიც ჩვენი დიდი მასწავლებლების მიერ დღემდე მოტანილი“, — აღნიშნა მიხეილ ქურდიანმა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა ქუთელია მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და ენათმეცნიერების განვითარების ისტორიაში მოკლე ექსკურსი ჩაატარა. „1960 წელს მოსკოვში აღმოსავლეთმცოდნეთა წარმომადგენლებთან კონგრესი გაიმართა. კონგრესის შემდეგ იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის იდეამ ბევრი წინააღმდეგობა განიცადა. ის ყოველთვის იყო წინების ქვეშე... გაჩნდა იდეა ქართული ენის ინდო-ევროპულ ენებთან დაკავშირებისა. გულახდილად გეტყვი, არ მაინტერესებს, რომელი ქვეყნის ენებთან ვიქნებით ერთიანი — ეს არაფერს ცვლის. მაგრამ ამისათვის საჭიროა არგუმენტები, არგუმენტები კი არ ჰქონდათ. ეს კავკასიელი ხალხების დაყოფის ბოროტული განზრახვა იყო.

მეცნიერება ამ მიმართულებით ვერ განვითარდა. აქ ცოტა ჩვენც დამნაშავეები ვართ. იბერიული ენების სპეციალისტებს ერთი კავკასიური ენა მაინც უნდა გვცოდნოდა, რომ

გავრკვეულიყავით იმ რთულ პარადიგმულ სისტემაში, რომელიც ფონოლოგიის დონეზე არსებობს.

და აი, 2008 წელს, პირველმა, ვინც ეს საკითხი სერიოზულად დააყენა და ბგერათმეცნიერების ნარმოგვიდგინა კავკასიურ და იბერიულ ენების პარადიგმულ ასპექტებში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ჩუხუა იყო. ეს მაშინ ძალიან დიდი მოვლენა გახლდათ. ამას მოჰყვა თსუ-ის პროფესორის მიხეილ ქურდიანის მონოგრაფიული კვლევა ამ სფეროში. ეს კი სავსებით საკმარისია, რათა იბერიულ-კავკასიური ენების მკვლევარებმა ეს რთული, მაგრამ საინტერესო გზა მომავალშიც გააგრძელონ“, — განაცხადა ნათელა ქუთელიამ.

კონფერენციის ბოლო პლენარულ სხდომაზე მეცნიერებს თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მიესალმა, რომელმაც შთამბეჭდავად ისაუბრა კავკასიური მეცნიერების უდიდეს ღვაწლსა და დამსახურებაზე იბერიულ-კავკასიური ენების კვლევების საქმეში, კავკასიელი მეცნიერების როლსა და დანიშნულებაზე კავკასიელი ხალხების უფრო მეტად დაახლოებისა და ურთიერთთანადგომის განმტკიცების კუთხით. რექტორმა იმედგამოთქვა, რომ ურთიერთთანამშრომლობა და ერთობლივი სამეცნიერო მუშაობა მომავალში უფრო აქტიურ სახეს მიიღებს, რადგან კავკასიელი ენათმეცნიერები ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მეცნიერის არნოლდ ჩიქობავას სკოლის ბაზაზე არიან გაზრდილები.

კონფერენციაზე მომხსენებლებმა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ორმოცამდე მეცნიერული ნაშრომი წაიკითხეს. თითოეული განსაკუთრებულ მეცნიერულ სიახლეს შეიცავდა. აქ წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა კავკასიური ენა. კონფერენციის მუშაობა სამ ენაზე მიმდინარეობდა.

საყურადღებო იყო მოხსენებები ტიპოლოგიიდანაც, მომხსენებლები: ი. ლანდერი, (მოსკოვი), ა. ვიდრინი (სანქტ-პეტერბურგი), თ. მახაროლიძე (თბილისი).

მოსხენებში შეეხებოდა, აგრეთვე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ერგატივისა და ერგატიული კონსტრუქციის შესწავლის ისტორიასა და თანამედროვე მდგომარეობას, მეცნიერებაში არსებულ ინტერპრეტაციებს: პასიურობის, აქტიურობისა და ნეიტრალურობის თეორიებს.

წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ენათმეცნიერებაში ერგატიული კონსტრუქციების კვლევა მსოფლიოს ენებში კვლავაც აქტუალურ საკითხად რჩება და მეცნიერების დიდ ინტერესს იწვევს. მოხსენებებში განხილული იყო იბერიულ-კავკასიურ ენებში ერგატივისა და ერგატიული კონსტრუქციის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა და შემდგომ კვლევათა გაძლიერების პერსპექტივები.

კონფერენციის მონაწილე ჩრდილო-კავკასიელმა მეცნიერებმა გამოთქვეს სურვილი თსუ-ისა და ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმის გაფორმების თაობაზე.

კონფერენციაზე მოწვეულმა სტუმრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საქართველო და, კერძოდ, თსუ ყოველთვის წარმოადგენდა კავკასიური სამეცნიერო კვლევების უმნიშვნელოვანეს ცენტრს, რომელიც ღირსეულად აგრძელებს დიდი ქართველი მეცნიერების ფასდაუდებელ ღვაწლს ენათმეცნიერების განვითარების საქმეში.

აქვე უნდა აღინიშნოს კონფერენციაზე წარმოდგენილი პუბლიკაციების კრებული, რომელშიც გაერთიანებული იყო პროგრამები, მასალები და სამუშაო ბლოკნოტი. კრებულს ამშვენებდა არა მარტო „კავკასიის ფონდის“ ლოგო, არამედ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ლოგოც, რომელიც სულ ახლახანს შეიქმნა.

კონფერენცია კულტურული ღონისძიებებითაც იყო დატვირთული. სტუმრებმა მცხეთის, კახეთის, თბილისის ღირსშესანიშნაობები და კულტურული ძეგლები მოინახულეს, რამაც მეცნიერებში დიდი აღფრთოვანება და ინტერესი გამოიწვია.

დასასრულს, კონფერენციაზე მოწვეულმა სტუმრებმა ერთხმად აღნიშნეს კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების მაღალი ხარისხი და მნიშვნელობა. მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი მსოფლიო ენათმეცნიერების განვითარების ისტორიაში ქართული საენათმეცნიერო სკოლის უდიდეს ღვაწლსა და დამსახურებას.

კონფერენციის ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს „კავკასიის ფონდს“, თსუ-ის რექტორს თანადგომისა და ფინანსური მხარდაჭერისთვის, რამაც კონფერენციის ასეთ მაღალ დონეზე ჩატარების შესაძლებლობა განაპირობა.



და იბერიულ-კავკასიურ ენებს და მთლიანად მოიცვა მსოფლიო ენები“, — განაცხადა კონფერენციის ორგანიზატორმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ.

კონფერენციის მიზანი იყო არსებული სამეცნიერო მიღწევებისა და სიახლეების წარმოჩენა, აგრეთვე მომავალი კვლევების პერსპექტივების დასახვა. კონფერენციას მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. კავკასიოლოგიის ინსტიტუტი მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ამზადებს სახელმძღვანელოს იბერიულ-კავკასიური ენების სინტაქსის საკითხებზე. ამ სახელმძღვანელოში, ერთ-ერთ საკვანძო საკითხად, სწორედ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემაა წარმოდგენილი. სახელმძღვანელოში ამ კონფერენციის სამეცნიერო შედეგები და სიახლეებიც აისახება.

კონფერენცია პროფესორმა ცირა ბარამიძემ გახსნა, რომელმაც აღნიშნა თსუ-ის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას განსაკუთრებული მხარდაჭერა და თანადგომა

ლანდერი — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ლინგვისტური ტიპოლოგიის ასოცირებული წევრი (მოსკოვი), ვ. შენგელია — არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი (თბილისი), ლ. ეხუბაია — არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დოქტორი (თბილისი), რ. ჯანაშია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (თბილისი), მ. ქურდიანი — არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი (თბილისი).

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ მთავარი შევნიშვნით ის კავშირები, რომელიც ერთმანეთთან და სხვა ქვეყნების მეცნიერულ წრეებთან გვაკავშირებს, რათა ამით საშუალება მიეცეთ მეცნიერულ კვლევებს შემდგომი განვითარებისათვის.

„კავკასია მუდამ იყო და არის მსოფლიო

# სტუდენტური Press კლუბი

## სტუდენტური კვირეული – „ჩემო კარგო ქვეყანავ“

„ჩემო კარგო ქვეყანავ“ — ამ სახელწოდების პროექტის ფარგლებში 11-15 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით კვირეული გაიმართა, რომლის მთავარი თემა იყო საქართველოს კონფლიქტური რეგიონები.

### შურთხნა ბაროშვილი

როგორც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ანი ბაქანიძემ განაცხადა, ამ ძალზე მნიშვნელოვანი და მტკიცეული პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აქტიურად ჩართვა მიმდინარე პროცესებში. „ოსმა და აფხაზმა ხალხმა უნდა დაინახოს ჩვენი კეთილგანწყობა, მათ უნდა იგრძნონ, რომ ურთიერთობის აღსადგენად და თანაცხოვრებისთვის ჩვენ მშვიდობიან გზებს ვეძებთ და არა ძალადობრივს. მართალია, სტუდენტობას არა აქვს პოლიტიკური ბერ-

კეტები, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცადეთ ამ ერთი კვირის მანძილზე კიდევ ერთხელ დაგვეხახვებინა საზოგადოებისათვის, რომ აფხაზეთი და ოსეთი ჩვენი ტკივილია“, — აღნიშნა ანი ბაქანიძემ.

კვირეულის ფარგლებში სტუდენტების მიერ მრავალი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დევნილი სტუდენტების ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან კობა სუბელიანთან შეხვედრა. მოენყო კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ვითარების ამსახველი დოკუმენტური ფილმების ჩვენება, ამავე კვირეულის ფარგლებში გაიმართა ფოლკლორული საღამო, რომელშიც მონაწილეობა

მიიღეს: თსუ-ის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „უნივერსიტეტი“, უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, ასევე, ანსამბლებმა: „გორდელა“, „ილოური“, „ფიცვერცხლი“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური დასის წარმომადგენლებმა. სტუდენტებმა საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მეომართა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და მათი სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აზრით, კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემები აუცილებლად მოგვარდება. „გონიერება მოითხოვს, ხაზი გავუსვათ იმას, რაც გვეერთიანებს. ჩვენ ავამყნებთ ისეთ სახელმწიფოს, რომელიც მოიზიდავს ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენელს. მთავარია, კარგად გავიზროთ, რომ აფხაზეთთან და ოსებთან, მიუხედავად გადატანილი ტრაგე-

დიებისა, უფრო მეტი რამ გვაკავშირებს, ვიდრე გვაშორებს“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის გიორგი შამათავას თქმით, აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს გარეშე არ არსებობდა, ამიტომ საქართველოს თავისი ისტორიული ტერიტორიები აუცილებლად დაუბრუნდება და საბოლოოდ მოელება ბოლო გაუთავებელ მუღლსა და მტრობას.

ანი ბაქანიძის ინფორმაციით, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით ოსურ და აფხაზურ ენებზე მომზადდა მიმართვა, რომელიც მათ თანატოლებს გაუგზავნეს. მისი აზრით, ახალგაზრდობა უფრო მეტად უნდა იყოს ინფორმირებული და მომზადებული იმ პროცესებში ჩასართავად, რომელიც ამჟამად ქართველი სახელმწიფოს წინაშე დგას, რადგან მომავალში ამ პრობლემების მოგვარება მათი პერსონალური გახდება.

## დევნილი სტუდენტები კობა სუბელიანს შეხვდნენ

11 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი ესტუმრა. შეხვედრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ ორგანიზებული სტუდენტური კვირეულის „ჩემო კარგო ქვეყანავ“ — (კონფლიქტური რეგიონები: აფხაზეთი, ცხინვალი) ფარგლებში განხორციელდა. მინისტრი იძულებით გადაადგილებულ სტუდენტებსა და თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

### თამარ მარუაშვილი

კობა სუბელიანმა მიმოიხილა სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ისაუბრა იმ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე, რომლის განხორციელებასაც მომავალში აპირებს.

„ყველაზე მთავარი, რაც ამ ხნის განმავლობაში მოვახერხეთ, არის ის, რომ ლტოლვილები კარგებიდან გამოვიყვანეთ და ახლად აშენებულ სახლებში შევასახლეთ. შორს ვართ იმ ილუზიისგან, რომ ეს სახლები, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, იდეალურ ვარიანტს წარმოადგენს, მაგრამ ეს სა-

კითხი სხვადასხვა კუთხით შეიძლება განვიხილოთ. მნიშვნელოვანია, რომ ლტოლვილებს ეს სახლები და მასზე მიმაგრებული მინის ფართობი პირად საკუთრებაში გადაეცემათ. ხშირად ჩვენი ოპონენტები გვსაყვედურობენ, რომ სახლები საცხოვრებელ პირობებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ისინი კაპიტალურად ნაშენი სახლებია და კარვის პირობებს ნამდვილად ჯობია.

უამრავი პროგრამა ხორციელდება ფინანსური დახმარების კუთხითაც. დევნილი მოსახლეობის 100% - ს სწავლის საფასური სახელმწიფომ ერთი წლით დაუფინანსა. სკოლის მოსწავლეებს სწავლის დაწყებისას 100 ლარი



გადაეცათ. ამ სახლებში შესახლებულ თითოეულ პირს 200 ლარის ფულადი დახმარება აღმოუჩინეთ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფართს, სადაც აფხაზეთიდან დევნილები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ, სახ-

ელმწიფო მათ სურვილისამებრ დაუკანონებს. ვინც ამ შემთავაზებაზე უარს იტყვის, მას მომავალში სახლის აშენებას ვპირდებით. სახლების მშენებლობა კი 2010 წლის ზაფხულში დამთავრდება.

ლტოლვილების ახალ დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარებაზეც ვმუშაობთ, აშენდება სკოლები, საბავშვო ბაღები, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები და საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც, პირველ რიგში, ამ კატეგორიის ხალხს დავასაქმებთ. სახელმწიფო ყოველთვის ზრუნავდა და მომავალშიც იზრუნებს იძულებით გადაადგილებულ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისთვის“, — განაცხადა ბაქანიძე კობა სუბელიანთან.

შეხვედრის დასასრულს მინისტრმა ამომწურავი პასუხები გასცა დევნილი სტუდენტების შეკითხვებს და მათი პრობლემების გადაჭრის გზებზეც ისაუბრა.

## „ის, რაც გვაერთიანებს“ – სტუდენტური კონფერენცია

„გნამდეს, ჩვენ ყველანი, ვით ღვიძლი ძმები, დედამინაზე ერთ საერთო ტაძარს ავაგებთ“, — ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის ამ სიტყვებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს, — აღნიშნა 14 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე — „ის, რაც გვაერთიანებს“.

### შურთხნა ბაროშვილი

ღონისძიების ორგანიზატორის, სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის წარმომადგენლის ანი ბაქანიძის ინფორმაციით, კონფერენცია სტუდენტური კვირეულის „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ფარგლებში გაიმართა, რომელზეც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა საკმაოდ მრავალფეროვანი და აქტუალური თემატიკა წარმოადგინეს.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა თამარ ადამიამ სტუდენტებს კიდევ ერთხელ შეახსენა აფხაზეთის ისტორიული წარსული და ის ფაქტი, რომ ეს ძირძველი კუთხე ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო.

„ერთ დროს მთელ დასავლეთ საქართველოს აფხაზეთი ერქვა, გაერთიანებულ მეფეებს კი სხვასთან ერთად ასეთი ნოდებაც ჰქონდათ: „მეფე აფხაზთა“. თავის დროზე საქართველოს ერთიანობის ბურჯიც აფხაზეთი იყო.

როდესაც აფხაზეთის კონფლიქტზე ფიქრობ, ძალაუფლებურად გინდება გქონდეს



შენი აზრი, შენეული ხედვა და შენს პოზიციას აყალიბებ, მაგრამ ჩვენმა თაობამ, ალბათ, განსაკუთრებით ბევრი უნდა იფიქროს, სანამ რამეს იტყოდეს ან მოიმოქმედებდეს, რადგან გაცილებით დიდი პასუხისმგებლობა. ისედაც დიდი დრო დავკარგეთ, კიდევ ერთი შეცდომა შესაძლოა საბედისწეროც იყოს. ახლა შერიგების დროა და ყოველმა

ჩვენგანმა უნდა იფიქროს — თუ როგორ, რა გზით შეიძლება გატეხილი გულების გამთელება, ჩატეხილი ხიდის აღდგენა“, — განაცხადა თამარ ადამიამ. მისი აზრით, საკითხის ღრმა და საფუძვლიანი ანალიზისთვის გასათვალისწინებელია იმ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ხედვის გათვალისწინება, რომლებიც თავდაუზოგავად იღვწოდნენ პრობლემების მოგვარებისთვის, რადგან, როგორც ილია იტყოდა, არ უნდა დაგვავინყდეს — „სად და რაზე გაჩერდა მამა“ და ჩვენც მისი საქმე უნდა გავაგრძელოთ.

თამარ ადამიამ ნაშრომში ვრცლად მიმოიხილა იმ საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობა, რომლებიც აფხაზეთის პრობლემაზე იყვნენ დაინტერესებულნი და თავისი წვლილი შეიტანეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ აფხაზეთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება ქართველებისგან მათ განდგომას კი არ გამოიწვევდა, არამედ, პირიქით, ამით ისინი უფრო დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს და

# „ის, რაც გვაერთიანებს“ – სტუდენტური კონფერენცია

მე-7 გვერდიდან

ქართველებისა და აფხაზების უნიტარული გარეგნული ერთიანობა შინაგანი სოლიდარობითა და ინტენსიური ძმობით შეიცვლებოდა.

იაკობ გოგებაშვილი ქართველი ხალხის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნევდა „მზურვალედ“ ზრუნვას აფხაზური ლიტერატურისა და საღვთისმსახურო ენის განსავითარებლად ისევე, როგორც ქართულისა. მას სურდა, აფხაზური „დედაენა“ შექმნილიყო. როგორც მისი ნაწარებიდან ჩანს, იგი მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას — მონაწილეობა მიეღო აფხაზური დამწერლობის შექმნასა და დამკვიდრებაში, ვინაიდან ამ გზით ისინი კიდევ უფრო დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

იაკობ გოგებაშვილი, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე ცხოვრობდა აფხაზეთში, კარგად იცნობდა იქ არსებულ მდგომარეობას. იგი დაბეჯითებით მოუწოდებდა თანამედროვეთ, კარგად გაეცნობიერებინათ რეალურად არსებული ვითარება და ნათლად შეეგერძნოთ, რომ ქართველთა და აფხაზთა შორის ისტორიულად არსებული ერთობის შენარჩუნება უკვე აღარ იყო შესაძლებელი მხოლოდ „ძველებური ხერხითა და ტაქტიკით და რომ ახალნი გარემოებანი ახალს ტაქტიკას თხოულობდნენ“.

აფხაზეთის პრობლემით დაინტერესებული იყო, ასევე, XIX საუკუნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძეც, რომელიც აფხაზეთში იმჟამად არსებული მეთად

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროდ თვლიდა, რომ ხელისუფლებას რეალური მზრუნველობა გამოეჩინა და საყოფაცხოვრებო პირობები გაეუმჯობესებინა იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის.

საყურადღებოა, ასევე, ქართველი მწერლისა და მეცნიერის თედო სახოკიას საქმიანობაც, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა აფხაზურ ენაზე პირველდანიყებით განათლების შემოსაღებად და განსავითარებლად.

თამარ ადამიამ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ამ სახელოვანი მოღვაწეების საქმიანობის გაცნობისას თითოეულმა საქართველოს მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა, რადგან „აფხაზეთი არ არის მხოლოდ მინა, წყალი, ჰაერი... იგი თითოეული ჩვენგანის სხეულის ნაწილია იმის მიუხედავად, გვიცხოვრია თუ არა ოდესმე აფხაზეთში“.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა მარიამ ბეჟიტაშვილმა საინტერესოდ და ვრცლად მიმოიხილა აფხაზეთის, ოსეთისა და საქართველოს კულტურის მოღვაწეთა ურთიერთობები.

„ვის რა ბრალი მიუძღვის დღევანდელი აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობების რღვევაში, ამ სადავო საკითხებს ისტორიკოსები გაარკვევენ, ლიტერატორებმა კი აუცილებელია ის ისტორია აღწერონ, რომლებსაც კულტურის სფეროში მოღვაწე აფხაზი, ოსი და ქართველი ერის წარმომადგენლები სიბოთით და

სიყვარულით ქმნიდნენ ერთ დროს“, — აღნიშნა მარიამ ბეჟიტაშვილმა.

„ოსურ-ქართული და აფხაზურ-ქართული კულტურული კავშირი სრულად გამჭვლივდა ყოფა-ცხოვრებაში, მეტყველებაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, მათ შორის, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც. ამ ხალხების მჭიდრო ურთიერთობას ადასტურებს ის მრავალრიცხოვანი პარალელი, რომელიც არსებობს ზღაპრებში... ქართულის გავლენა შეინიშნება ოსურ ხალხურ სიმღერებშიც.“

საგულისხმოა ილიასა და აკაკის დამოკიდებულება მეზობლებთან ურთიერთობისას: „საკუთარი კეთილდღეობა ჩვენი მეზობლის კეთილდღეობაზე დამოკიდებულია, მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება“, — ნერდა ილია 1986 წელს გაზეთ „ივერიაში“. „ივერია“ დიდ ინტერესს იჩენდა აფხაზთა ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისადმი. აკაკიც განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა აფხაზთა ხალხურ პოეტურ შემოქმედებას, „აკაკის კრებულში“ ბეჭდავდა აფხაზურ ფოლკლორულ მასალებს. „გამზრდელსაც“ ხომ აფხაზადიღველ ხალხებში გავრცელებული სიუჟეტი დაედო საფუძვლად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოსმა პოეტმა ივანე ჯანაიემა სიყვარულით თარგმნა აკაკის ლექსები.

ქართველებმა ოსეთის და აფხაზეთის საგანმანათლებლო საქმეშიც შეიტანეს წვლილი. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1764 წელს ქართველმა მისიონერებმა, ერეკლე II-ის ხელ

შეწყობით, ოსი ბავშვებისათვის პირველი სკოლა გახსნეს.

როგორც მარიამ ბეჟიტაშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, აფხაზ და ქართველ ხელოვანთა და მწერალთა ურთიერთობები ყოველთვის თბილი იყო, რაზეც მათი პირადი კონტაქტები მეტყველებს. ქართველ მწერლებთან და პოეტებთან (გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, რ. მარგიანი, ი. აბაშიძე, შ. ნიშნიანიძე, ნ. დუმბაძე, გ. ციციშვილი) მეგობრობდნენ აფხაზი და ოსი ხელოვნების წარმომადგენლები: დ. გულბა, ბ. შინკუბა, ი. თარბა, მ. ხაშბა, და სხვები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბევრმა აფხაზმა ლიტერატორმა დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აფხაზური თეატრის განვითარებაში კი მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით ა. ბორავას, ა. ვასაძეს, ვ. გარიკს, ს. ჭელიძეს და გ. ჟურულს.

მარიამ ბეჟიტაშვილმა სტუდენტებს კახეთში გაზრდილი ოსი პოეტის რევაზ ასაევის შემოქმედებაზეც ესაუბრა, რომელიც საქართველოს არაერთი გულწრფელი სიყვარულით აღსავსე ლექსი მიუძღვნა.

მომხსენებელმა თავისი ნაშრომი კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით დაასრულა: „ვერავინ მიაყენებს ჩრდილს ჩვენს სიყვარულს, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში გვაკავშირებდა. ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით ურთიერთისადმი პატივისცემით განმსჭვალულნი, მამ გაუმარჯოს ქართველი და აფხაზი ხალხები“.

ის სიყვარულს!

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სპეციალობის I კურსის მაგისტრანტის ნათია ფურცელაძის მოთხოვნით მამა ანდრიას (ყურაშვილი) და იური ანუას გმირული სიკვდილის შესახებ, რომლებიც 1993 წლის 5 ივლისს მონამეობრივად აღესრულნენ სოფელ კომანში, ყველა ააღელვა. „ქვეყანას, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს, გადაშენება და სიკვდილი არ უწერია“, — აღნიშნა კონფერენციაზე.

სამეცნიერო კონფერენციაზე საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა: ქეთევან ბაქანიძემ („ტრაგედია, რომელიც ერთად გადავიტანეთ“), ზარინა გიგოლაევა („ქართული-ოსური საქორწინო რიტუალები“), მამუკა კახანაძემ („ქართული ნასესხობანი ოსურში“), თამარ გელაშვილმა („წმიდა გიორგის სახე ქართულ და ოსურ მითოლოგიაში“), ანა ბაქანიძემ („როტ ჰვავს ერთმანეთს ქართული და აფხაზური ენები“), გიორგი ჭიჭიშვილმა („წმიდა გიორგის თავყვანის ცემის ისტორიიდან აფხაზეთში“), თამარ ხეცურიანმა („მევენახეობა-მეღვინეობის კვლევებისათვის აფხაზეთში“), ლილი მეტრეველმა („მიცვალებულის კულტი ქართულ-აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში“), თინათინ თვალჭრელიძემ („აფხაზეთი და აფხაზეთი ქართულ ლიტერატურაში“).

## საჯარო ლექცია-სემინარების ციკლი აქტუალურ თემატიკაზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების და მეცნიერების დეპარტამენტის ინიციატივით თსუ-ში 8 მაისიდან საჯარო ლექცია-სემინარების ციკლი დაიწყო, რომელიც 6 ივნისამდე გაგრძელდება. სტუდენტები 8 ლექციას მოისმენენ სხვადასხვა აქტუალური თემის ირგვლივ, რომლებსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები წაიკითხავენ.

### ნატო ობოლაძე

ლექციები თსუ-ის მაღლივ კორპუსში, 206-ე აუდიტორიაში, კვირაში ორჯერ ტარდება. „პროექტი მონაწილე სტუდენტების ინტერესები, მათი სპეციალობებიდან გამომდინარე, განსხვავებულია, ამიტომ მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ლექციების თემატიკა მრავალფეროვანი და მათთვის საინტერესო ყოფილიყო. ლექციები მიეძღვნება ისეთ თემებს, როგორცაა დემოკრატიის განვითარება საქართველოში, კონფლიქტების პრობლემა, ეკონომიკური პროცესები და ა.შ.“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თონა ლავრელაშვილმა.

ლის დასრულების შემდეგ პროექტის ორგანიზატორები სამეცნიერო კრებულის გამოცემას გეგმავენ, სადაც პროექტის ფარგლებში ჩატარებული ყველა ლექცია სტატიის სახით დაიბეჭდება. ჟურნალი ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა. მომზადდება ლექციების ელექტრონული ვერსიაც.


თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პირველი ლექცია პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორმა გიორგი ჟორჟოლიანმა წაიკითხა თემაზე — „დემოკრატიის თეორია და ქართული რეალობა“. გიორგი ჟორჟოლიანმა დემოკრატიული წყობის ძირითადი არსის შესახებ ისაუბრა და საქართველოში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარების მიზეზები ახსნა. მისი განცხადებით, საქართველო ახალგაზრდა სახელმწიფოა, რაც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კატაკლ-

იზმების ერთ-ერთი მიზეზია. „დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყალიბდება და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით გარკვეული პროცესები მანამდეც მიმდინარეობდა, დემოკრატია და ქართული სახელმწიფო მაინც ერთდროულად შეიქმნება — ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ინგლისის სახელმწიფოებრიობას დიდი ისტორია აქვს — საუკუნეების განმავლობაში



ერთი მმართველობის წესი მეორეს ცვლიდა და შემდეგ დაფუძნდა დემოკრატიული წყობილება, ხოლო საქართველოში პირდაპირ დემოკრატიული წესით ჩამოყალიბდა სახელმწიფო მმართველობა. ნიკოლო მაკიაველი წერდა, რომ ბევრად უფრო რთულია ახალ სახელმწიფოში მმართველობის განხორციელება, ვიდრე იმ სახელმწიფოში, სადაც გარკვეული სახის მმართველობა უკვე არსებობდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია გასაბჭოების პერიოდით წყდება და ჩვენს თანამედროვეობაში თავიდან იქმნება. ამდენად, თუ უფრო ზოგადად შევხედავთ, ის პოლიტიკური კატაკლიზმები, რაც ჩვენს ქვეყანას დღეს ახასიათებს, არც ისე ტრაგიკულია, როგორც ეს იმ ადამიანებს ეჩვენებათ, რომელთა ცხოვრებაზეც აღნიშნული მოვლენები პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს“, — აღნიშნა პროფესორმა გიორგი ჟორჟოლიანმა.

ლექცია-სემინარები 2 საათის განმავლობაში გრძელდება. როგორც თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში ამბობენ, იმ პროფესორ-მასწავლებელთა სია, რომლებიც პროექტის ფარგლებში ლექციებს წაიკითხავენ, უკვე



შედეგნილია, თუმცა კონსულტაციები სტუდენტებთანაც მიმდინარეობს და მათი სურვილის მიხედვით დამატებით სპეციალისტების მოწვევაც იგეგმება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის სხვა სტუდენტური პროექტების განხორციელებასაც გეგმავენ. 18 მაისს დასრულდა რეგისტრაცია ინტელექტუალურ თამაშში „რა, სად, როდის“ მონაწილეობის მისაღებად. თამაშში სტუდენტებისგან შემდგარი 50-მდე გუნდია ჩართული.

# თბილისში „ტრადიციული ხელოვნების სტუდენტური ფესტივალი“ იწყება

2 ივნისიდან თბილისში „ტრადიციული ხელოვნების სტუდენტური ფესტივალი“ იწყება. ფესტივალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პროექტის „ერის ხმის“ ფარგლებში ტარდება და მასში საქართველოს ყველა აკრედიტებული უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლები მიიღებენ მონაწილეობას.

## ნატო ოპოლაქი

„ტრადიციული ხელოვნების სტუდენტური ფესტივალი“ მთან-მინდის პარკში გაიმართება და 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პროექტის გენერალური სპონსორი თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტია. ფესტივალს, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რეგიონულ ცენტრებში არსებული ადგილობრივი უნივერსიტეტები აფინანსებენ. სტუდენტურ ფესტივალში თბილისში არსებული 10 უნივერსიტეტისა და 6 რეგიონული უმაღლესი სასწავლებლის ფოლკლორული ანსამბლები მიიღებენ მონაწილეობას.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პროექტში აღნიშნულია, რომ პროექტის განხორციელების მიზანი სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების კულტურული ცხოვრების წარმოჩენა და საზოგადოებისთვის გაცნობაა. ორგანიზატორები ნიჭიერი სტუდენტებისთვის ხელის შეწყობას და ნახალისებასაც გეგმავენ. ფესტივალზე ახალგაზრდებს ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერის შესრულების შესაძლებლობა მიეცემა.

„ეს პროექტი ქართული სიმღერის, ცეკვის, ფოლკლორის წარმოჩენას და პოპულარიზაციას ემსახურება. სტუდენტები უნივერსიტეტებს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენენ და საზოგადოებას საკუთარ შესაძლებლობებს გააცნობენ. ფესტივალი ერთჯერადი ხასიათის არ იქნება, მსგავსი

პროექტის განხორციელებას მომავალ წელსაც გეგმავენ“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე გიორგი შამათავამ.

პროექტის „ერის ხმა“ კონსულტანტი მომღერალი და „არტ-

თვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძალიან ძვირფასია, რადგან მეც უნივერსიტეტელი ვარ. პროექტი „არტ-გენი“ მთელ საქართველოს მოიცავს და ყველა კუთხის წარმომადგენელს აერთიანებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა იმ წამოწყებას, რომელიც ეროვნულია და ქართული ტრადიციების გაგრძელებას ემსახურება. ასეთი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის სულიერებისთვის, ერთობისთვის, კულტურული გან-

ვერსიტეტის სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას, ესენია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, კავკასიის ბიზნეს სკოლა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნი-

ვერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის ორგანიზატორები — თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტი, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე გიორგი გომურამიანი და რეჟისორი გიორგი გომურამიანი ფესტივალის დაწყებამდე ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან მონაწილეებს შეარჩევენ. „ტრადიციული ხელოვნების სტუდენტური ფესტივალის“ პროექტის პრეზენტაციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუაძე დაესწრო. რექტორმა სტუდენტურ თვითმმართველობას მსგავსი კულტურული, ეროვნული ტრადიციების პოპულარიზაციისთვის გამიზნული პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერა აღუთქვა და ფესტივალში მონაწილე სტუდენტებს წარმატებები უსურვა. „აღამიანი როგორც საკუთარ ჩრდილს ვერ გაექცევა, ასევე ვერ გაექცევა ტრადიციებსაც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდობას ჰქონდეს ეროვნული სულისკვეთება, ამიტომ არის ეს ახალი პროექტი დასაფასებელი და მისასალმებელი. სასურველია, რომ ეს ფესტივალი უფრო მასშტაბური გახდეს და რეგიონალური პროექტის სახით განხორციელდეს, ჩვენმა სტუდენტებმა უმასპინძლონ მეზობელი სახელმწიფოების სტუდენტებს და წარმოაჩინონ საკუთარი ეროვნული ტრადიციები“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

პროექტის „ერის ხმა“ პრეზენტაცია საქართველოს რეგიონებშიც გაიმართება. ფესტივალის წამყვანებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეარჩევს. ფესტივალზე სტუდენტები 7 საკონცერტო ნომინაციას წარმოადგენენ: ხალხური სიმღერა, ხალხური ცეკვა, ხალხური საკრავები, ხალხური ლექსი, შაირი, ფოლკლორით შედგენილი კომპინაცია, ქალაქური სიმღერები, ორიგინალური ნომერი. მაცურებლებისთვის დასწრება თავისუფალი იქნება.



გენის“ ორგანიზატორი ზაზა კორინთელი იგივე ზუმბაა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პროექტი ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, ორგანიზატორები ორივე ფესტივალის ინდივიდუალურობას განსაკუთრებით აღნიშნავენ — „ტრადიციული ხელოვნების სტუდენტურ ფესტივალში“ მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტური ანსამბლები მონაწილეობენ. „არტ-გენისგან“ განსხვავებით ნომრები შეზღუდული არ იქნება და ფოლკლორული სიმღერების გარდა წარმოდგენილი იქნება თანამედროვე მუსიკაც. „ჩემ-

ვითარებისთვის. გისურვებთ, რომ ეს ფესტივალი საქართველოს ფორმატში დაგვირგვინდეს და ქვეყანას ის ღირსება და სახელი მოუტანოს, რომელსაც ნამდვილად იმსახურებს“, — განაცხადა პროექტის პრეზენტაციაზე ზაზა კორინთელმა. უკვე ცნობილია, რომ „ტრადიციული ხელოვნების სტუდენტურ ფესტივალს“ ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების შერჩევაშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

„ტრადიციული ხელოვნების სტუდენტურ ფესტივალში“ საქართველოს 16 აკრედიტებული უნი-

ვერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის ორგანიზატორები — თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტი,

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ახალგაზრდები ერთობლივ პროექტებს განახორციელებენ

## ნატო ოპოლაქი

15 მაისს თსუ-ის სტუდენტურ ორგანიზაცია „ახალგაზრდულ ცენტრს“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს გაერთიანებულ ახალგაზრდებს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი 9 პუნქტისგან შედგება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მხარეები სტუდენტთა უფლებების დაცვის კუთხით, ასევე, განათლების, საერთაშორისო ურთიერთობების, კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის განვითარებისა და ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით იმუშავებენ. „არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს გაერთიანებულ ახალგაზრდობასთან“ მემორანდუმის გაფორმება ორივე მხარის სურვილი იყო და ჩვენი ორგანიზაციისთვის ეს ფაქტი განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია. მემორანდუმი ჩვენი შეხვედრის მეორე ნაწილი უნდა გაფორმებული იყოს. დოკუმენტზე ხელმოწერამდე დავგეგმეთ შეხვედრა რეჟისორ „საქართველოს

ვაზის პარტიის“ ლიდერთან გიორგი შეგელაიასთან, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო იგი გადაიდო“, — აღნიშნა „ახალგაზრდული ცენტრის“ თავმჯდომარე დიანა ლიპარტიანი.

არასამთავრობო ორგანიზაციაში „საქართველოს გაერთიანებული ახალგაზრდები“ თბილისის 9 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტური ორგანიზაციები, სტუდენტური თვითმმართველობები და, ასევე, რეგიონალური უნივერსიტეტების ახალგაზრდული ჯგუფები არიან გაწევრიანებული. არასამთავრობო ორგანიზაციაში მართვამრგვალი მაგიდის პრინციპით ხორციელდება. ორგანიზაციის პრიორიტეტი კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში მუშაობაა. რაც შეეხება მის პოლიტიკასთან კავშირს, როგორც ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, ამ მხრივ „საქართველოს გაერთიანებული ახალგაზრდობა“ აბსოლუტურად ნეიტრალურია. ორგანიზაციის წარმომადგენლები 9 აპრილს დაწყებულ ოპოზიციის საპროტესტო აქციებზე კანონდარღვევის ფაქტებზე მონიტორინგს ახორციელებენ და აქტიურად თანამშრომლობენ სახალხო დამცველის ოფისთან.

არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს გაერთიანებული ახალგაზრდობის“ მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი კონფლიქტურ ზონებში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებაა. ორგანიზაციის წევრების თქმით, ინტერნეტის საშუალებით გაცნობილი რამდენიმე აფხაზი სტუდენტი თბილისსაც სტუმრობდა.

ახალგაზრდები აქტიურად მუშაობენ ახალქალაქშიც. მათი ინფორმაციით, აქ ქართული ენის სწავლებას ყურადღება ნაკლებად ეთმობა, რის გამოც უმეტესობამ სახელმწიფო ენა არ იცის. ორ სოფელში კი ქართული დროშის ნაცვლად მეზობელი სახელმწიფოს ეროვნული დროშა ფრიალებს. „ახალქალაქი მხოლოდ ფორმალურად არის საქართველოს ტერიტორია, რადგან იქ ქართული სული აღარ იგრძნობა. ფუნქციონირებს ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ოფიციალურად 160 ადამიანი სწავლობს, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი, რომელთანაც თითქმის ყოველდღე ვსაუბრობთ, გვეუბნება, რომ სასწავლებელში მხოლოდ 15 სტუ-

დენტი დადის. მიზეზი კი ერთადერთია — აქ სწავლება ქართულ ენაზეა. პრობლემას თუ დროზე არ მივხვდებით, არსებული მდგომარეობის მიხედვით, ახალქალაქი მომავალ ცხელ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს. ადგილობრივ ახალგაზრდებს ჩვენთან ურთიერთობის სურვილი აქვთ. მთავარია, რომ მათ საინტერესო პროექტები შევთავაზოთ“, — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს გაერთიანებული ახალგაზრდობის“ წევრმა გიორგი გოგორიშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს გაერთიანებული ახალგაზრდობა“ უკვე 9 თვეა, რაც არსებობს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მეგობარი ქვეყნების არასამთავრობო სექტორთანაც აქტიურად თანამშრომლობს. გასულ წელს პოლონეთში მოკლევადიან კურსებზე 30-მდე ქართველი სტუდენტი იმყოფებოდა.

ორგანიზაციას „საქართველოს გაერთიანებული ახალგაზრდობა“ კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად უნივერსიტეტები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები აფინანსებენ. იგი აქტი-



ურად თანამშრომლობს სახალხო დამცველის ოფისთან და საქართველოს საპატრიარქოსთან, ასევე, აქვს პერსპექტივა, რომ ევროპის ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა კავშირის წევრი გახდეს.

თსუ-ის სტუდენტური ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრი“ მემორანდუმის გაფორმების საფუძველზე აქტიურად ჩაერთვება არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობაში. ახალგაზრდები სხვადასხვა სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელებას გეგმავენ.

# პროექტის „ნაფიცო მსაჯული 2“-ის პრეზენტაცია

22 მაისს სასტუმრო „ამბასადორში“ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია – „ELSA-საქართველოს“ პროექტის „ნაფიცო მსაჯულის“ მეორე ეტაპის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტში საქართველოს 7 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ჩაერთვებიან. მონაწილეების შერჩევა ორ ეტაპად განხორციელდება. მასში ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც შესაბამისი განათლებითა და უნარ-ჩვევებით გამოირჩევიან.

## ნათო ოპოლაძე

„ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია — საქართველოს“ პროექტის „ნაფიცო მსაჯულის“ მეორე ნაწილის პრეზენტაციას თბილისის 4 უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ. „ELSA-საქართველოს“ საორგანიზაციო საბჭოს წევრებმა დამსწრე საზოგადოებას ორგანიზაციის რაობის, საქართველოში მისი წარმომადგენლობის არსებობის მნიშვნელობის და „ნაფიცო მსაჯულის“ მიზნების შესახებ ესაუბრნენ.

პროექტ „ნაფიცო მსაჯულის“ პირველი ნაწილი ასოციაცია „ELSA-საქართველოს“ ერთი წლის წინ განხორციელდა. იმპროვიზებული სასამართლო პროცესები უზენაესი სასამართლოს შენობაში მიმდინარეობდა. პროექტის წარმატება, როგორც თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა, ასევე უზენაესი სასამართლოს თანამშრომლებმა ერთხმად აღიარეს. სწორედ პროექტის პირველი ეტაპის შედეგადად დასრულებამ ჩაუყარა საფუძველი „ნაფიცო მსაჯული 2-ის“ ჩატარებას, რომელიც გაცილებით მასშტაბური იქნება. მასში საქართველოს 7 უმაღლესი სასწავლებლის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, კავკასიის სამართლის სკოლა, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას.

პროექტი „ნაფიცო მსაჯული“ რამდენიმე ეტაპისგან შედგება. პირველი ნაწილი მონაწილეთა შერჩევას და პროექტის შესახებ მათ ინფორმირებას მოიცავს. სტუდენტებს ჩაუტარდება ტესტირება და გასაუბრება. შერჩევა სულ 32 სტუდენტი, რომელთაც ანაც 8 საკონკურსო გუნდი შედგება. მომდევნო ეტაპი უკვე შერჩეული მონაწილეების ტრენინგს ითვალისწინებს, რომელსაც ლიცენზირებული ტრენერები ჩაატარებენ. პროექტის ბოლო და მთავარი ნაწილი იმპროვიზებული სასამართლო პროცესებია. სულ 7 პროცესი გაიმართება.

განსხვავებით „ნაფიცო მსაჯული“ პირველი ნაწილისგან, ამ პროექტში ნაფიც მსაჯულთა ვერ-

დიქტს მეტი დატვირთვა მიენიჭება. ნახევარ ფინალში გავლენ სწორედ ის გუნდები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის თანახმად გამარჯვდებიან.

იმპროვიზებულ სასამართლო პროცესებს „ELSA-საქართველოს“ საორგანიზაციო ჯგუფის მიერ შერ-



ჩეული ყოფიერ მიადვენებს თვალყურს, რომელიც კონკურსანტებს კონკრეტული ნომინაციების მიხედვით შეარჩევს. შესაძლებელია, რომ ნომინაციებში გამარჯვებულად დამარცხებული გუნდების წევრებიც გამოვლინდნენ.

„ნაფიცო მსაჯული“ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია – საქართველოს“ პირველი გლობალური პროექტია. მისი მიზანი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ქართული საზოგადოების ინფორმირება, სტუდენტების თეორიული ცოდნის პრაქტიკული რეალიზება, მათთვის სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარება და ნაფიცო მსაჯულის ინსტიტუტის შემოღების პროცესში ახალგაზრდების აქტიური ჩართვა გახლავთ.

„პროექტის მეორე სეზონის გამართვა საკითხის აქტუალობამ, საზოგადოებრივმა გამოწვევამ, სტუდენტთა აქტიურმა ჩართვამ და სამართლიანობის განცდის მოთხოვნის გამო განაპირობა. ჩვენნი

პროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს. ეს იდეა ადრევე ხორციელდებოდა, მაგრამ საბჭოური და მანკიერი ფორმით.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მსოფლიოს ბევრ ძლიერ სახელმწიფოში დღესაც არის აღიარებული. ჩვენ გვაქვს ამის საერთაშორისო გამოცდილება. მაგალითად, ესპანეთში სისტემის დამკვიდრებას დასჭირდა 17 წელი. ვფიქრობ, რომ საქართველოში შესაძლებელია უფრო ნაკლებ დროში აღმოიფხვრას პრობლემები, რომელიც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვი-

განიზაციო საბჭოს წევრებს პროექტის მორიგი სეზონის დაწყება მიულოცეს და მხარდაჭერა აღუთქვეს.

„მაღლობა მინდა გითხრათ ამ საინტერესო ინიციატივისთვის. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ახალი მოვლენაა დღევანდელ სინამდვილეში და ბუნებრივია, იგი დაკავშირებულია ძალიან ბევრ ახალ გამოწვევასთან და მოითხოვს გაცილებით უფრო მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოებას. სწორედ სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ღონისძიებათა ის სე-

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია-სთან“ დაკავშირებაში პროფესორი დავით კერესელიძე დაეხმარა, თუმცა ასოციაციაში საბოლოოდ განვერიანებამდე „ELSA-საქართველოს“ კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება. ამჟამად ქართველ სტუდენტებს „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში“ დამკვირვებლის სტატუსი გააჩნიათ.

„ერთი წელი, რაც საქართველო „ELSA“-ს წევრი გახდა, საკმაოდ მცირე დროა. მიზნის მისაღწევად, ანუ ასოციაციის ნამდვილ წევრობამდე დიდი შრომა გასწავი. ძალიან მომწონს ის ფაქტი, რომ თავიდან „ELSA-საქართველოს“ მუშაობის პროცესში რამდენიმე ჯგუფი იყო ჩართული და შემდეგ ეს ჯგუფები გაერთიანდნენ. ერთად მუშაობამ საინტერესო პროექტების განხორციელების საშუალება მოგვცა“ — აღნიშნა დავით კერესელიძემ.

პროექტ „ნაფიცო მსაჯულის“ განხორციელების პარალელურად „ELSA-საქართველოს“ გამგეობის წევრებმა სტუდენტებს შორის მასშტაბური გამოკითხვაც ჩატარეს. გამოკითხვის მიზანი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის გარკვევა გახლდათ. მსგავსი სახის მცირე მასშტაბიანი კვლევა ორჯერ განხორციელდა. წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგის მაჩვენებლის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რაობისა და მნიშვნელობის შესახებ გაცილებით მეტი სტუდენტია ინფორმირებული, ვიდრე ერთი წლის წინ. „ELSA-საქართველოს“ წევრებმა 800 სტუდენტი გამოკითხეს.

„ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია“ 1981 წელს შეიქმნა და მისი საქმიანობა საკმაოდ ბევრ ასპექტს მოიცავს, ესენია: იმპროვიზებული სასამართლო პროცესები, სემინარები, კონფერენციები, გაცვლითი პროგრამები და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამები...

„ELSA“ იძლევა შესაძლებლობას, რომ მოხდეს ევროპულ სტუდენტთა დაახლოება. „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის“ საქმიანობის უკეთ წარმოსაჩენად „ELSA-საქართველოს“ წევრებმა პროექტ „ნაფიცო მსაჯულის“ პრეზენტაციაზე ორი ვიდეო-კლიპი წარმოადგინეს, სადაც ასოციაციის საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტების მუშაობის პროცესია ასახული. „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში“ განვერიანება ქართველი სტუდენტების თამაში ნაბიჯია. „ELSA“ საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა, რომ მომავალი ქართველი იურისტები პროფესიონალ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ.

# უნივერსიტეტისა და ფონდ „იანანას“ ერთობლივი საკვლამოქმედო აქცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან არსებული „საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრის“ ინიციატივით უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები შეუერთდნენ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდ „იანანას“ საკვლამოქმედო აქციას — ერთად გადავარჩინოთ მომავალი.

უნივერსიტეტის ყველა კორპუსში ორი კვირის განმავლობაში იდგა ფონდ „იანანას“ საკვლამოქმედო შესანიშნავი ყუთები და მათი საშუალებით საუნივერსიტეტო საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა დახმარებოდა მზრუნველობამოქმედებულ ბავშვებს.

6 მაისს, გიორგობას, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში უნივერსიტეტის სტუდენტების, ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ მოგროვებული თანხა, რომელმაც 1426 ლარი შეადგინა, გადაეცა ფონდ „იანანას“ დამფუძნებელსა და პრეზიდენტს, მსოფლიო ბანს, ბატონ პაატა ბურჭულაძეს.

საკვლამოქმედო ფონდი „იანანას“ 2004 წელს მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა საოპერო მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ დააარსა. ფონდის ობიექტ ბავშვებზე და მათ ოჯახებზე ზრუნავს.

ფონდის ინიციატივით იქმნება ე.წ. „სამეგობროები“, რომელთა ჩამოყალიბებაც შეუძლია ყველას, ვისაც სტაბილური შემოსავალი

აქვს. თითოეულ სამეგობროში 5-10 წევრი ერთიანდება და ისინი ყოველთვიური შემოსწავლით ეხმარებიან მზრუნველობამოქმედებულ ბავშვებს. დღეისთვის ასეთი ორმოცდაათამდე სამეგობროა შექმნილი.

წარმატებით მოქმედებს ასევე ფონდ „იანანას“ მიერ განხორციელებული „იანანას სტიპენდიების“ პროგრამაც, რომელიც ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს და მუსიკოსებს ეხმარება.

სასიხარულო და მისასალმებელია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეუერთდა ამ საკვლამოქმედო აქციას და ამ სასიკეთო საქმეში მცირე წვლილი (ფულადი შესანიშნავი) შეიტანა.



# თინათინ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება

ცნობილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს თინათინ ყაუხჩიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით 8 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში საიუბილეო ღონისძიება, 11 მაისს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

## შურთხია ბაროშვილი

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უშუალოდ მემკვიდრეები არიან XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემიისა, რომლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია ქალბატონი თინათინ ყაუხჩიშვილი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“, რომელიც სამაგრიდო ნივანდ იქცა საქართველოს კულტურის ისტორიის მკვლევართათვის. მიმართა, რომ ეს ნაშრომი უნდა გამოიცეს ინგლისურადაც. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მზადაა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ამ ჩანაფიქრის განხორციელებას.“ — განაცხადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამართულ საზოგადოებრივ აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ.

თინათინ ყაუხჩიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა პროფესორმა ნანა ხაზარაძემ.

საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის და ბიზანტიისტიკის დარგების პატრიარქის სიმონ ყაუხჩიშვილის ქალიშვილმა, დედის — თამარ იშხნელის რჩევით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1936 წელს ჩააბარა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე, სადაც მისი პედაგოგი იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, აკაკი შანიძე, კორნეილ ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ვარლამ თოფურია და სხვები. იგი ქართულთან ერთად კლასიკურ ფილოლოგიასაც ეუფლებოდა. თინათინ ყაუხჩიშვილი მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ბერძნულ-ქართულ სპეციალობაზე ჩაირიცხა. აღსანიშნავია, რომ მისი ხელმძღვანელი სიმონ ყაუხჩიშვილი იყო. ასპირანტურაში სწავლის პარალელურად ქალბატონი თინათინი ძველ ქართულს ვარლამ თოფურიასთან ეუფლებოდა, ძველ სომხურს — ილია აბულაძესთან, არაბულს — გიორგი წერეთელთან, ამავე დროს სწავლობდა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს. 1945 წელს თსუ-ის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას თავმჯდომარეობით, 26 წლის თინათინ ყაუხჩიშვილს ნაშრომისათვის „მასალები ე მერვეს ისტორიისთვის“ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. მისი ორასგვერდიანი ხელნაწერი თეზისები 1945 წელს გამოქვეყნდა. ამავე წელს მან თავისი საქმინობა თსუ-სა და ისტორიის ინსტიტუტს დაუკავშირა, სადაც იგი ჯერ უმცროსი მეცნიერის, შემდეგ უფროსი და მთავარი მეცნიერის თანამდებობაზე მუშაობდა.

მეცნიერი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც ხშირად სტუმრობდა, სადაც მას იმდროისათვის გამოჩენილ რუს მეც-

ნიერებთან უხდებოდა შეხვედრა და თანამშრომლობა. ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებებში გატარებულ წლებს იგი ასე იხსენებს: „1946 წლიდან ყოველწლიურად დავდიოდი პეტერბურგში. მამამ ბარათი გამატანა თავის პედაგოგთან, აკადემიკოს ივანე ტოლსტოისთან, რომ ჩემთვის ეპატრონა. მართლაც, მან არაჩვეულებრივი მზრუნველობა გამოიჩინა, მისგან დიდად ვარ დავალებული. ყველაზე მეტად, რაც ჩემს დარგში ვისწავლე, თბილისელი ხელმძღვანელის გარდა (იგულისხმება სიმონ ყაუხჩიშვილი), ბატონ ივანე ტოლსტოის დამსახურებაა. მან შემდგომში სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს ოპონირებაც გამიწია. მართალია თბილისში ვერ ჩამოვიდა, მაგრამ რეცენზია გამომიგზავნა, რომელიც დღემდე მაქვს შენახული“.

თინათინ ყაუხჩიშვილი 1946-1953 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს (ძველ წელთაღრიცხვის V საუკუნიდან XIX საუკუნემდე) ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლენის, შესწავლისა და გამოცემის მიზნით ინტენსიურ საქმიანობას ეწეოდა. მან საფუძვლიანად შეისწავლა აფხაზეთში, ზემო სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, რაჭაში, გურიაში, კახეთში, სამხრეთ საქართველოში, სოხუმში, ფოთში, ოზურგეთში, ქუთაისში, თბილისსა და გორში საცავებსა და მუზეუმებში დაუზღვეული მასალები. ამ წლებში მან რამდენიმე საყურადღებო სტატია გამოაქვეყნა, რომელიც უდიდეს მეცნიერულ მიღწევადაა მიჩნეული.

1951 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფია „ბერძნული წარწერები საქართველოში“, რომელსე შესახებ აკადემიკოსი კორნეილ კეკელიძე ამბობდა: „თინათინ ყაუხჩიშვილის მონოგრაფია საინტერესოა როგორც ზოგადმეცნიერული, ისე ქართველოლოგიური თვალსაზრისით. მის მიერ შესწავლილი ეპიგრაფიკული მასალები ითვალისწინებს იმ კულტურულ ურთიერთობას, რომელიც არსებობდა ძველად ქართველებსა და ბერძნებს შორის. ეს შრომა სახელმძღვანელოდ დარჩება საქართველოში არსებული ბერძნული წარწერების შესწავლის საქმეში. ავტორს ისეთი მუშაობა ჩაუტარებია, რომელიც მყუდრო, სამეცნიერო კაბინეტის კედლებში არ ეტყევა, შემოუვლია მთელი საქართველო, შეუშუშავება აქამდე უცნობი წარწერები, შეუსწავლია ისინი და მის მიერ მოპოვებული ახალი მასალებით შეუვსია. ასეთი რთული და საიმედო კრებული ბერძნული წარწერებისა საქართველოში ჯერ არ გვექნია. ავტორმა მის მიერ შეგროვებული მასალების სერიოზული ანალიზი მოგვცა — როგორც ენობრივი, პალეოგრაფიული, ისე თეორიული და ლიტერატურული. ის შეეცადა, ანალიზის საფუძველზე უფრო ზუსტად დაეთარილებინა წარწერები“.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის თვალსაზრისით, თინათინ ყაუხჩიშვილის მონოგრაფია განსაკუთრებით ძვირფასი შენაძენია ხელოვნებამცოდნეებისთვის. ეს ნივნი ხელს უწყობს მრავალი ძეგლის ზუსტ დათარიღებას და, ზოგ შემთხვევაში, კორექტივებიც კი შეაქვს. აქ მოყვანილ წარწერებს დიდი მნიშ-



ვნელობა აქვს არა მარტო ქართული ხელოვნების ისტორიისათვის, არამედ ბიზანტიის ხელოვნების ისტორიისთვისაც. ყაუხჩიშვილის ეს შრომა ამჟღავნებს ქართულ მეცნიერებას. აღსანიშნავია, რომ თინათინ ყაუხჩიშვილის მონოგრაფიას „საქართველოს ბერძნული წარწერები“ რუსული, ფრანგული და ჩეხური სამეცნიერო პრესაც გამოეხმაურა.

ბერძნული ეპიგრაფიკის კვლევას ქალბატონი თინათინი დღემდე აგრძელებს. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში 50-იან 80-იან წლებში სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად გამოვლენილმა ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა მას საშუალება მისცა 1955-2007 წლებში ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ სოლიდურ სამეცნიერო გამოცემებში საქართველოს ბერძნული წარწერების ინტერპრეტაციისადმი მიძღვნილი წერილები გამოეყვეყნებინა. მის მიერ გამოცემული ნაშრომები: „სტრაბონის გეოგრაფია“, „მითრიდატეს ომების ისტორია“, ჰეროდოტეს „ცნობები საქართველოს შესახებ“, ჰეროდოტეს ისტორიის ორტომეული, ჰიპოკრატეს ტრაქტატი - „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ და სხვა ერთმნიშვნელოვნად გააზრებული და დახვეწილი სქემით არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მან პირველმა შემოიტანა სამეცნიერო გამოცემებში ნაქვეყნად ცნობილი ძველი ბერძენი ისტორიკოსების ცნობები, რომელიც საშუალებას გვაძლევს ახლებურად წარმოვარჩინოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ასპექტები.

აღსანიშნავია 1976 წელს გამოქვეყნებული „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები“, რომელიც დღემდე ისტორიკოსთა და ფილოლოგთა სამაგიდო ნივანდ რჩება. დღესაც მის გარეშე უმაღლეს სასწავლებლებში წარმოუდგენელია წყაროთმცოდნეობისა და ძველი ბერძნული ლიტერატურის სასწავლო კურსების განხორციელება. ამ შესანიშნავ ნივანში, ქრონოლოგიისა და წერილობითი წყაროების უანერების გათვალისწინებით, საკმაოდ კომპაქტურად არის წარმოდგენილი ძველი ბერძნული თქმულებები, ბერძნული ეპოსი და ლირიკა, ბერძნული დრამა, საისტორიო პროზა, სამეცნიერო პროზა, მსოფლიო ისტორია და, რაც მთავარია, ბერძნული ბელე-

ტრისტიკა და ბერძნული ეპიგრაფიკის ნიმუშები.

მეცნიერის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. 1975 წელს თინათინ ყაუხჩიშვილს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნიშანი მიენიჭა. 1978 წელს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს კი აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. 1999 წელს საქართველოს ანტიკური წყაროების შესწავლაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობისთვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს.

უფრო ადრე მას სხვა ჯილდოებიც ჰქონდა, ეს იყო უმაღლესი საბჭოს სიგელი და მედალები, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო აკადემიკოსის სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის პრემია იყო, რომელიც მას ბერძნული ეპიგრაფიკული ნაშრომებისათვის 2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მიანიჭა.

როგორც პროფესორმა ნანა ხაზარაძემ აღნიშნა, თინათინ ყაუხჩიშვილი დღესაც მისთვის ჩვეული შემართებით და თავდადებათა ემსახურება ქართულ მეცნიერებას.

საიუბილეო ღონისძიებაზე მოგონებებით წარსდგნენ იუბილარის კოლეგები და მეგობრები: აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, პროფესორი ნოდარ ლომოური, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზაზა ალექსიძე, პროფესორი ირინე დარჩია, პროფესორი ვალერი ვაშაკიძე. მილანიდან სპეციალურად ქალბატონი თინათინის იუბილესთან დაკავშირებით ჩამობრძანდა მსოფლიო პროფესორი ნინო ყაუხჩიშვილი. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა რისმაგ გორდეზიანმა, როგორც ნდობით აღჭურვილმა პირმა, თინათინ ყაუხჩიშვილის სახელით მადონდენა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მისი ღვაწლის დაფასებისთვის. მისი თქმით, ქალბატონი თინათინისთვის ყველაზე დიდი სტიმულია, როდესაც ახლი მეცნიერული ამოცანა უჩნდება.

„ამჟამად ჩვენი ინსტიტუტი მუშაობს ენციკლოპედიის — „ანტიკური კავკასია“ შედგენაზე, ამასთან დაკავშირებით წინასწარ გამოვეციტი ანტიკური მემკვიდრეობის შესწავლა ქალბატონ თინათინის ვთხოვეთ. მის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები ძალიან გამოგვადა. იგი ახლაც ყოველდღე ელის ახალი ბერძნული წარწერების აღმოჩენას. მისთვის ყველაზე ბედნიერი დღეები მაშინ არის, როდესაც სამუშაო უჩნდება. საბედნიეროდ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად წარწერები ძალიან ხშირად აღმოჩნდება ხოლმე. ხანდახან იგი სუსტად გრძობს თავს, მაგრამ როგორც კი სამეცნიერო საქმე გამოუჩნდება, იგი საოცრად მობოლიზებული ხდება.“

ახლახან გამოვიდა ნივნი „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“, მესამე გამოცემა. როდესაც მან გადახედა ამ ნივანს, თქვა: „მეოცნეო გამოცემისათვის მე აქ ბევრ რაღაცას შევცვლიდი და ახლებურად გავაკეთებდი. პირობას ვაძლევ, რომ ამ ოცნების განხორციელებაში მას ჩვენი ინსტიტუტი შეუწყობს ხელს“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა.

## „ცივი ომი, როგორც მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი“

### სამეცნიერო კონფერენცია

#### ნატო ოპოლაკი

13 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავდაცვის სამინისტროს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული აკადემიის მსმენელთა და თსუ-ის სტუდენტთა პირველი ერთობლივი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები თემაზე: „ცივი ომი, როგორც მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი“. სამეცნიერო კონფერენცია თავდაცვის

სამინისტროს ეროვნული აკადემიისა და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით ჩატარდა. ღონისძიების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორები ია ხუბაშვილი და არსენ გვიმრაძე. სამეცნიერო კონფერენციაზე 17 ნაშრომის პრეზენტაცია გაიმართა.

თსუ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული აკადემიის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით გაიმართა. თითოეული

მოხსენების შემდეგ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის აქტიური დისკუსია მიმდინარეობდა. სამეცნიერო კონფერენციაზე ისაუბრეს ცივი ომის გამომწვევებზე, მის შედეგებზე, გავლენაზე პარალელური თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან, მოისმინეს 17 მოხსენება: „ცივი ომის საფუძვლები - შეკავების დოქტრინა“ (გორგი ასტაძაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველკურსელი, ხელმძღვანელი - პროფ. ია ხუბაშვილი), „ცეზარისა და ვიეტნამში, კარიბის კრიზისი“ (თავდაცვის

გეოპოლიტიკაში“ (თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემია, კაპიტანი ალექსანდრე ტულუში, ხელმძღვანელი — პროფ. არსენ გვიმრაძე), „საერთაშორისო უსაფრთხოება და ბირთვული ომები“ (თეოდორე ლავრენაშვილი, თსუ-ის სოციოლოგიური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორეკურსელი, ხელმძღვანელი — პროფ. ია ხუბაშვილი), „ცივი ომის ცხელი წერტილები, ომი კორეასა და ვიეტნამში, კარიბის კრიზისი“ (თავდაცვის

მ-12 გვირგვინი

# „ცივი ომი, როგორც მსოფლიო ბაიოპოლიტიკური წესრიგი“

სამეცნიერო კონფერენცია

მე-11 გვირგვინი

სამინისტროს ეროვნული აკადემია, კაპიტანი ვიტალი ცხადაძე, ხელმძღვანელი — პროფ. არსენ გვიმრაძე, „სიონიზმი და მისი პოლიტიკური ასპექტები“ (შორენა ხარაიშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხეკურსელი, ხელმძღვანელი — პროფ. ია ხუბაშვილი), „აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ცივი ომის პერიოდში“ (თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემია, მაიორი ნოდარ მანსურაძე, ხელმძღვანელი — პროფ. არსენ გვიმრაძე), „ინფორმაციული უსაფრთხოება“ (ნათია შევილაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველკურსელი, ხელმძღვანელი — პროფ. მარიამ ცაცანაშვილი), „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა და ცივი ომი“ (თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემია, მაიორი სერგო ბზიკაძე, ხელმძღვანელი — პროფ. არსენ გვიმრაძე), „საბჭოთა და ამერიკული პროპაგანდა ცივი ომის პერიოდში“ (გიორგი ცომაია და გიორგი უხურგუნაშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხეკურსელები, ხელმძღვანელი — პროფ. ია ხუბაშვილი), „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და ახალი ცივი ომის დაწყების საფრთხე“ (თონა დალაქიშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამეკურსელი, ხელმძღვანელი — პროფ. ია ხუბაშვილი), „აშშ-სა და ევროპის ურთიერთობები, პრობლემები და პერსპექტივები“ (ირაკლი ჟორჯოლიანი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის მაგისტრანტი, ხელმძღვანელი — პროფ. ია ხუბაშვილი), „ალექსანდრე მაკედონელის კოსმოპოლიტიზმი“ (თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემია, კაპიტანი მალხაზ კურტანიძე, ხელმძღვანელი — პროფ. არსენ გვიმრაძე), „ირანი, მისი როლი და ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში“ (ნათია ფირანიშვილი და ეკატერინე ცინცაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხეკურსელები, ხელმძღვანელი — პროფ. ია ხუბაშვილი), „ჩინეთი და ახალი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი“ (ეკატერინე დანელია, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამეკურსელი, ხელმძღვანელი — პროფ. თემურ პაპასქირი), „თურქეთი — 21-ე საუკუნის მსოფლიო მისიონერი“ (ნინო ციხელაშვილი და ნინო მელელაშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერე-



ბათა ფაკულტეტის მეოთხეკურსელები, ხელმძღვანელი — პროფ. ია ხუბაშვილი), „კორეა — მისი როლი და ადგილი აღმოსავლეთის გეოპოლიტიკაში“ (თამარ ლობჯანიძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხეკურსელი, ხელმძღვანელი — პროფ. ია ხუბაშვილი), „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ (ეთერ ცერცვაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხეკურსელი და თინა ცხორვაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამეკურსელი).

თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის მსმენელთა და თსუ-ის სტუდენტთა პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თსუ-ის პროფესორების ია ხუბაშვილისა და არსენ გვიმრაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა. პროფესორ ია ხუბაშვილის განცხადებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის მონაწილეობა მსგავს პროექტებში, რადგან აკადემიის ხელმძღვანელობის პრიორიტეტი მომავალი სამხედრო პირებისათვის პოლიტიკური განათლების მიცემაა. „იმედია, რომ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ტრადიცია, სამეცნიერო სფეროში ურთიერთთანამშრომლობა შემდეგშიც გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა გიორგი ხუბაშამ აკადემიას ბიბ-

ლიოთეისთვის წიგნებიც გადასცა. თავდაცვის სამინისტროს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული აკადემიის მსმენელთა და თსუ-ის სტუდენტთა საერთო სამეცნიერო კონფერენციის თემა ძალიან აქტუალურია. იგი შეეხება ცივი ომს და მსოფლიო გეოპოლიტიკას. კაცობრიობის ისტორიამ თავისი არსებობის მანძილზე ძალიან ბევრჯერ გაიარა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების ეტაპები. თანამედროვე მსოფლიოში განვითარებული მოვლენები, მათ შორის, 11 სექტემბრის ტერაქტი გვიჩვენებს, რომ არა მარტო დასავლეთს, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებსაც გარკვეული პრეტენზიები გაუჩნდათ მსოფლიო ახალი წესრიგის დასამყარებლად. მსოფლიო რუკა ხელახლა ემუქრება შეცვლის საშიშროება... სტუდენტებმა მოხსენებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მოამზადეს. ჩვენი მიზანი იყო, რომ კონფერენციის თემატიკა ყოფილიყო აქტუალური და აუდიტორიაში დისკუსია გამოეწვია, რასაც მივალნიყ. სტუდენტებს თემის პრობლემების წარმოსადგენად 5 ნუთი ჰქონდათ დათმობილი, რის შემდეგაც მიმდინარეობდა დებატები. ჩვენთვის ინტელექტუალურ კამათს გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ დროს განსაკუთრებით კარგად ვლინდება მომხსენებლის აზროვნებისა და შედარებითი ანალიზის უნარი“, — განაცხადა ია ხუბაშვილმა.

13 მაისს თსუ-ში გამართული სამეცნიერო კონფერენცია ინფორმაციული თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ. საინტერესო იყო პარალელურად გაკლებული ორი ომის საწყის ეტაპსა და თანამედროვე მსოფლიოში დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას შორის. თსუ-ის სტუდენტებმა და თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის მსმენელებმა მსოფლიოს მართვის ძირითადი ბერკეტების შესახებაც ისაუბრეს — განმარტეს ბირთვული უსაფრთხოების გაძლიერების აუცილებლობა, საზოგადოებაზე ინფორმაციული ზემოქმედების მნიშვნელობა, „ცივი ომის“ გამოქვეყნების მიზეზები და შედეგები და ისაუბრეს თანამედროვე მსოფლიოში ახალი „ცივი ომის“ დაწყების საშიშროებაზე.

სტუდენტების ნაშრომები დადებითად შეაფასა თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო ანალიტიკური ჯგუფის უფროსმა, ვიცე-პოლიკოვნიკმა გრიგოლ დანელიამ. „მნიშვნელოვანია თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის მსმენელებისა და ივანე ჯავახიშვილის სახ-

ელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების პირველი ერთობლივი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის გამართვა. კონფერენციის მონაწილეებმა საინტერესო და ინფორმაციულად მდიდარი მოხსენებები წარმოადგინეს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც ახალგაზრდებს ასე კარგად შეუძლიათ საკუთარი აზრის დასაბუთება და დაცვა, ეს ქვეყნის მომავალს უკეთესობისკენ შეცვლის დიდ იმედს იძლევა“, — განაცხადა გრიგოლ დანელიამ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით კიდევ არაერთი სამეცნიერო-მეცნიერებითი ღონისძიების გამართვა იგეგმება. როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა თედო დუნდუამ სამეცნიერო კონფერენციის დასაწყისში აღნიშნა, თსუ-ში იგეგმება ლექტორების გაცვლითი პროგრამის ამოქმედება, ასევე, მიმდინარეობს სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონზე მუშაობა. თედო დუნდუას თქმით, რუსული და ინგლისური სამხედრო ტერმინოლოგიის ქართული შესაბამისობების დადგენის პროცესში თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ.

თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიისა და თსუ-ის შორის ურთიერთთანამშრომლობა 2 თებერვლიდან დაიწყო, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს თავდაცვის მინისტრს დავით სიხარულიძესა და თსუ-ის რექტორს გიორგი ხუბაშას შორის შეხვედრა შედგა. მხარეების გადწყვეტილებით, შეიქმნა ერთობლივი ჯგუფი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიისა და თსუ-ის საერთო ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით მუშაობს.

სამეცნიერო კონფერენცია მალალ დონეზე იყო ორგანიზებული, წარმოდგენილმა მოხსენებებმა კომპლექსური მიხედვით დაიბნედა დიდი შთბეჭდილება მოახდინეს, რომ თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობამ ყველა მომხსენებელს გადასცა საპატიო დიპლომები, რომელიც ორივე რექტორის მიერ იქნა ხელმოწერილი. როგორც კონფერენციაზე ითქვა, მოხსენებები თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის სამეცნიერო კრებულში დაიბეჭდება.

## ფრანკფურტ-ოდერის ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტსა და თსუ-ის შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანიის კონსტიტუციის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება — „გერმანული დღეები კავკასიაში“, რომლის ფარგლებში თსუ-სა და ფრანკფურტ-ოდერის ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა, რაც ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის სამეცნიერო თანამშრომლობას ითვალისწინებს. ამავე დღეს ვიადრინას უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, დოქტორმა გუნტერ პლოიგერმა წაიკითხა მოხსენება თემაზე — „კონსტიტუციის 60 წელი და გერმანიის 60 წელი“.

ნატო მოლაქი

ფრანკფურტ-ოდერის ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის პრეზიდენტი, დოქტორი გუნტერ პლოიგერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 22 მაისს ეწვია. ვიზიტის ძირითადი მიზანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმება იყო, რომელიც ორივე უმაღლესი სასწავლებლისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობისაა. შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ ფრანკფურტ-ოდერის ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტსა და თსუ-ის შორის 6 პუნქტისაგან შედგება და აკადემიურ სფეროში თანამშრომლობას გულისხმობს, თუმცა, როგორც თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბაშამ განაცხადა, მემორანდუმის გაფორმებას საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის თვალსაზრისითაც დიდი დატვირთვა აქვს. „მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გერმანიის კონსტიტუციის 60 წლის იუბილეს ჩვენ საქართველოში აღვნიშნავთ. ქართველების ისტორიულ მემორანდუმში ყოველთვის დარჩება ის მოვლენა, რომ საუკუნის დასაწყისში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადწყვეტილება სწორედ გერმანელი დიპლომატების დაჟინებ-

ული მოთხოვნით მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი სა-დოქტორო დისერტაცია, 1926 წელს, გერმანულ ენაზე იყო წარმოდგენილი.

ფრანკფურტ-ოდერის ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი არის ერთადერთი გერმანული უნივერსიტეტი, რომელიც მზადაა ჩვენი სტუდენტები შეუზღუდავი რაოდენობით მიიღოს. ჩვენ, ასევე, ვესწრაფვით დავაკვიდროთ ორმაგი დიპლომების სისტემა. ამის დიდი გამოცდილება აქვს ბოლონის უნივერსიტეტს და მიმაჩნია, რომ მსგავსი პრაქტიკის ქართულ რეალობაში გადმოტანა შესაძლებელი იქნება“, — განაცხადა გიორგი ხუბაშამ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ვიადრინას უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი თსუ-ის სტუდენტებისთვის არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, რომ განათლება მაღალკვალიფიციურ უმაღლეს სასწავლებელში გაიღრმავონ. 22 მაისს მიღებულ შეთანხმება კვლევების ერთობლივ ჩატარებას, ორივე მხარისთვის საინტერესო სამეცნიერო ინფორმაციისა და გამოქვეყნებული მასალების გაცვლას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამების განხორციელებას გულისხმობს. აქვე უნდა ითქვას, რომ თითოეული სტუდენტის საზღვარგარეთ ყოფნის მაქსიმალური



ხანგრძლივობა ერთი წლით განისაზღვრება. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ენის ცოდნაა საჭირო. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტები სტუდენტებს მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მოძებნაში დაეხმარებიან. ქვეყანაში ყოფნის სხვა ხარჯებს თავად სტუდენტები აანაზღაურებენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსა და ვიადრინას უნივერსიტეტის პრეზიდენტს შორის საუბარი მხოლოდ მემორანდუმის დეტალების განხილვას არ შეხებია. მხარეებმა საქართველოს ევროსივრცეში ინტეგრაციის საკითხიც განიხილეს. დოქტორი გუნტერ პლოიგერის განცხადებით, აკადემიურ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირისა და საქართველოს დაახლოების პრო-

ცესში წინ გადადგმული ნაბიჯია. „ფრანკფურტ-ოდერის ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის მთავარი მიზანია ინტერდისციპლინარული დარგების განვითარება. ჩვენი უნივერსიტეტი შეიქმნა, რათა გარკვეულწილად მჭიდრო თანამშრომლობის ხიდი გაედოს გერმანიასა და პოლონეთს შორის. ჩვენი სურვილია, რომ ახლო სამეცნიერო ურთიერთობა დავამყაროთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთანაც, რათა მათი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი შედარებით გამარტივდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი დიდ წვლილს შეიტანს ამ ურთიერთობის გაუმჯობესებაში“, — აღნიშნა გუნტერ პლოიგერმა.

მე-13 გვირგვინი

# ფრანკფურტ-ოდერის ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტსა და თსუ-ის შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მე-12 გვირგვინი

ამ დროისთვის ვიადრინას უნივერსიტეტში 5600 სტუდენტი სწავლობს. აქ სულ სამი ფაკულტეტი - კულტურულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი და ეკონომიკის ფაკულტეტი. უნივერსიტეტთან ფუნქციონირებს ენების შემსწავლელი ცენტრი, სადაც 18 ენის სწავლა შესაძლებელია და სტუდენტების რაოდენობით ვიადრინას უნივერსიტეტს არ ჩამოუვარდება. როგორც დოქტორმა გუნტერ პლოიგერმა თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას აღნიშნა, ვიადრინას უნივერსიტეტის ენების ცენტრს თსუ-სთან თანამშრომლობის დიდი სურვილი აქვს. გერმანულ კოლეგებთან ერთობლივი მუშაობის სურვილი თსუ-შიც გამოითქვა.

ფრანკფურტ-ოდერის ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, დოქტორ გუნტერ პლოიგერმა მემორანდუმის გაფორმების შემდეგ თსუ-ში მოხსენება წაიკითხა

თემაზე — „კონსტიტუციის 60 წელი და გერმანიის 60 წელი“. მოხსენებაში ავტორმა გერმანიის ძირითადი კანონის მიღების დეტალებზე, მის სირთულეებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მიღებისა და ჩამოყალიბების პროცესში გერმანიას ჰქონდა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა — მის ფედერაციულ რესპუბლიკად ჩამოყალიბებას ბავარია არ უჭერდა მხარს და მიუხედავად ამისა, გერმანელმა ერმა მოახერხა გაერთიანება და ქვეყნის ამაყინდელი კონსტიტუციის სრულყოფილად შექმნა.

გუნტერ პლოიგერი სამეცნიერო მოღვაწეობის გარდა წარმატებული დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ. წლების მანძილზე იგი იყო გერმანიის ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, გერმანიის წარმომადგენელი გაეროს უშიშროების საბჭოში. მუშაობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე. სწორედ მისი პოლიტიკური წარ-

სულიდან გამომდინარე, მოხსენების დასრულების შემდეგ, მას ქართველმა სტუდენტებმა ძირითადად პოლიტიკური შინაარსის კითხვები დაუსვეს. შეკითხვას: არის თუ არა გერმანია რუსეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ? გუნტერ პლოიგერმა ასეთი პასუხი გასცა: „ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა მიდგომა გვქონდეს რუსულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მიდგომა გვქონდეს მოლაპარაკებების პროცესში სტრატეგიულ თანამშრომლობაზეც, მაგრამ მოლაპარაკებებზე უარის თქმა ძალიან ბევრ დამოკიდებულზე არსებული პრობლემის ფონზე. დიპლომატია არასოდეს იქნება წარმატებული, თუ ჩვენ ვისაუბრებთ ერთი მხარის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე. საერთაშორისო მოლაპარაკებებში ყოველთვის შეიძლება ორივე მხარემ მიიღოს სარგებელი. საბოლოოდ უნდა არსებობდეს კონკრეტული შედეგი, ჩვენ რაღაც დათმობის სანაცვლოდ უნდა მივიღოთ სამაგიერო. სწორედ ეს თეორია არის ხე-

ლმეკრულების მიღების ერთადერთი საფუძველი. მას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რომ ევროკავშირის რომელიმე სახელმწიფო ან, ზოგადად, ევროკავშირი არის რუსეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ“, — განაცხადა გუნტერ პლოიგერმა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე გერმანელმა სტუმარმა საპარლამენტო და საპრეზიდენტო მმართველობის, გერმანიაში ეროვნული უმცირესობის უფლებათა დაცვის სისტემის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უფლება-მოვალეობების შესახებ ისაუბრა. ფრანკფურტ-ოდერის ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის პრეზიდენტი, დოქტორი გუნტერ პლოიგერი გერმანიაში იმავე დღეს გაემგზავრა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განხორციელების დეტალებზე კი მოლაპარაკებები 2009 წლის სექტემბრიდან დაიწყო.

## ათათურაძის უნივერსიტეტთან მემორანდუმი გაფორმდა

თამარ მარუაშვილი

14 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქეთის ათათურაძის უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, ფაკულტეტებისა და მიმართულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები.

ათათურაძის უნივერსიტეტის დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო: რექტორი, პროფესორი ჰიქმეთ ქოჩაქი; პრორექტორი, პროფესორი სამიჰ დიარბაქი; რექტორის მრჩეველი, პროფესორი ფაჰრი იაფუზი; მრჩეველი, პროფესორი საით კელეში; აგროკულტურის კოლეჯის დირექტორი ომერ აქბულუთი და სხვა ოფიციალური პირები.

ათათურაძის უნივერსიტეტი ქალაქ ერზურუმში მდებარეობს, სადაც 17 ფაკულტეტი, 5 უმაღლესი სკოლა, 15 პროფესიული სკოლა, 6 ინსტიტუტი და 16 კვლევითი ცენტრია. ამჟამად აქ 35 000 სტუდენტი სწავლობს და 2500 აკადემიური პერსონალია დასაქმებული.

თსუ-ს თურქეთში სხვა პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლებიც ჰყავს: ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი, ანკარას უნივერსიტეტი, გაზის უნივერსიტეტი, შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი და კავკასიის უნივერსიტეტი.

თურქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ჩამოყალიბდა. 1933 წელს თსუ-ში კავკასიური და აღმოსავლური ენების გაერთიანებული კათედრა შეიქმნა. მოგვიანებით მას სემიოლოგიის, ირანისტიკის და თურქო-

ლოგიის კათედრები გამოეყო. თსუ-ში თურქული ენის სისტემატური კურსი 1936 წლიდან იკითხება (მანამდე იგი ფილოლოგიის ფაკულტეტზე დამხმარე საგნის სტატუსით იყო).

თურქოლოგია მრავალპროფილიანი კომპლექსური მეცნიერებაა. ქართველი თურქოლოგების კვლევის საგანია — ენა, ლიტერატურა, ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, პალეოგრაფიკა, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ხელოვნება და ნუმისმატიკა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მეზობელი ქვეყნების საგან-

ჩვენ მეზობელი ქვეყნები ვართ. ურთიერთობების უფრო მეტად გაღრმავებისა და გაფართოების მიზნით საჭირო და აუცილებელია თურქი და ქართველი ხალხის სამომავლო პერსპექტივების განხორციელება“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

იგივე აზრს ავითარებს ათათურაძის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჰიქმეთ ქოჩაქი: „ჩვენი უნივერსიტეტის დელეგაციის სახელით მადლობას მოგახსენებ ვულოთბილი მიღებისთვის... ვიზიტის მიზანია ორ მეგობარ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთან-

ხელს შეუწყობს ორივე უნივერსიტეტის განვითარებას“.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით მხარეებს შორის განხორციელდება: ერთობლივი საგანმანათლებლო, კულტურული და კვლევითი ღონისძიებები; აკადემიური პერსონალის გაცვლა კვლევის, ლექციების წაკითხვისა და დისკუსიების მიზნით; უმაღლესი რაფეზის სტუდენტების გაცვლა ერთობლივი ან დამოუკიდებელი კვლევითი; სემინარებსა და აკადემიურ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება; აკადემიური მასალების, გამოცემებისა და სხვა ინფორმაციების გაცვლა; სპეციალური, მოკლევადიანი აკადემიური პროგრამები; სემესტრული ან ერთწლიანი პროგრამები საზღვარგარეთ, რომელიც მინიჭებს კრედიტებს და ოფიციალურ ნიშნების ფურცელს ხარისხის მაძიებელ სტუდენტებს — მსგავსი პროგრამები შეიქმნება თითოეული მონაწილე ინსტიტუტის აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ მოლაპარაკებები გაიმართება ყოველწლიურად. თითოეული უნივერსიტეტი დანიშნავს ოფიცერს, რომელიც განავითარებს და კოორდინაციას გაუწევს სპეციფიკურ ღონისძიებებს და პროგრამებს.

შეხვედრაზე მხარეების წარმომადგენლებმა, ფაკულტეტების ადმინისტრაციის წევრებმა ისაუბრეს და ერთმანეთს გააცნეს სასწავლო პროცესის თავისებურებები, საინტერესო და მნიშვნელოვანი სასწავლო პროექტების, სამეცნიერო კვლევებისა და მუშაობის შედეგები, უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პერსპექტივები.

დაისახა უახლესი პერიოდის სამოქმედო გეგმა და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები... პირველი ეტაპისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ათათურაძის უნივერსიტეტის რექტორმა საზაფხულო სკოლაში 2 საუკეთესო სტუდენტი მიიწვია, ხოლო რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს, ამაზე ორივე მხარე აქტიურად მუშაობს.



მანათლებლო ცენტრებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ორი ერის პარტნიორობასა და მათი კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების ურთიერთგაცნობას უწყობს ხელს.

„მოხარული ვართ, რომ დღეს თსუ ერზურუმის ათათურაძის უნივერსიტეტის დელეგაციას მასპინძლობს. დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი შეხვედრა ბევრ საინტერესო წამოწყებას დაუდევრებს სათავეს და ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა სრულიად ახალ ფაზაში შევა.“

ამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება. მომავალში კონტაქტები სხვადასხვა ფორმით გაგრძელდება — იქნება ეს გაცვლითი პროგრამები თუ სხვადასხვა სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციები. ჩვენი უნივერსიტეტი 52 წლისაა და იგი თურქეთში ერთ-ერთი ყველაზე ძველი უმაღლესი დაწესებულებაა. აქ ყველა ფაკულტეტზე სწავლება მაღალ დონეზე წარმოებს და ალტერნატიული თანამედროვე სასწავლო ლაბორატორიები. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი თანამშრომლობა

## თურქი მეცნიერები საქართველოში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას გეგმავენ

27 აპრილს ფონდის „დიპლომატიკური პლატფორმა – საქართველოს“ თურქეთის წარმომადგენლები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრნენ. დელეგაცია უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას შეხვდა. თურქი მეცნიერები საქართველოში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას გეგმავენ, რომელიც ქართველი და თურქი მეცნიერების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

შურთსია ბაროშვილი

გიორგი ხუბუამ თურქ მეცნიერებთან და მწერლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობებში არა მარტო პოლიტიკა და ეკონომიკის დონეზე უნდა ვითარდებოდეს, არამედ

ძალზე მნიშვნელოვანია ის სამეცნიერო კავშირები, რომელიც ერთმანეთთან დაახლოებს ამ ორი ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ამ პროცესში კი საჭიროა აქტიურად იყოს ჩართული ახალგაზრდობა.

„ჩვენ შევთანხმდით, რომ ფონდის „დიპლომატიკური პლატფორმა – საქართველოს“ ხელშეწყობით კიდევ უფრო გავააქტიურებთ თანამშრომლობას თურქეთის უნივერსიტეტებთან, შევცდებით კონტაქტები გავადრმათ სამეცნიერო კვლევების კუთხით, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის პროგრამის ფარგლებში, ასევე ერთობლივი საზაფხულო სკოლებისა და კონფერენციების დაგეგმვით. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ამ ორგანიზაციის ხელშეწყობით უნივერსიტეტში სწავლების პროცესში აქტიურად ჩაერთოთ ჩვენი თურქი კოლეგები. ამასთან დაკავშირებით გამოიკვეთა რამდენიმე კონკრეტული ტენდენცია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ჩანაფიქრი წარმატებით განხორციელდება“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

როგორც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ დაიგეგმა სამომავლო პერსპექტივები, დაისახა კონკრეტული ამოცანები, თუ რა მიმართულებით უნდა გაგრძელდეს თანამშრომლობა.

„სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველაფერს გააკეთებს თურქული და ქართული კულტურის დასახლოებლად. თურქი კოლეგების მხრიდანაც საპასუხო მზაობას ვგრძნობთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საჭიროა, თურქეთშიც შეიქმნას ქართული კულტურის ოაზისები, რათა მათთვისაც ცნობილი გახდეს — თუ რა ხდება მათ მეზობელ ქვეყანაში. თურქეთი ჩვენი ერთ-ერთი დიდი მეზობელია და ჩვენი ურთიერთობა მჭიდრო კონტაქტებში უნდა გადაიზარდოს“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

შეხვედრას ესწრებოდა თურქოლოგი, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების

ასისტენტ პროფესორი, სასწავლო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ელისაბედ ბუაღაია, რომელიც აღნიშნა, რომ ეს იყო ძალიან საინტერესო შეხვედრა იმ თვალსაზრისითაც, რომ ამ ბოლო დროს თურქეთი დაინტერესებულია საქართველოსთან თანამშრომლობით, განსაკუთრებით ეს ეხება სამეცნიერო სფეროს. ერთობლივი პროექტები, რომლებიც ორივე მხარის ხელშეწყობით განხორციელდება, საინტერესო იქნება როგორც ჩვენითვის, ასევე თურქეთისთვის“, — აღნიშნა ელისაბედ ბუაღაიამ.

ფონდის „დიპლომატიკური პლატფორმა – საქართველოს“ წარმომადგენლებმა გიორგი ხუბუას მადლობა გადაუხადეს მხარდაჭერისა და საინტერესო იდეების შემოთავაზებისთვის. როგორც ამ ფონდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა იასინ ასლანმა აღნიშნა, თურქული მხარისთვის საინტერესო იყო თსუ-ის რექტორის მოსაზრებები და ის ინიციატივები, რომელიც მან დღის წესრიგში დააყენა.

# დიმიტრი შაშკინმა სამინისტროში რეფორმების მიმდინარეობის შესახებ პრეზენტაცია გამართა

მე-3 გვირგვინი

მინისტრმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება პრობაციის სისტემის დახვეწის აუცილებლობაზე. მისი თქმით, რეფორმის პირველი ეტაპი ამ სისტემაში აკვირვებს დასრულებულს. ამ დროისთვის პრობაციის 12 ახალი ოფისი ამუშავდება. 2013 წლამდე კი დაგეგმილია კიდევ 65 პრობაციის ოფისის გახსნა. „ოფისები აღჭურვილი იქნება აპარატურით, რომელიც საშუალებას მოგვცემს, პრობაციის პოტენციური კორუფციული გარიგებები გამოვრიცხოთ. დღეს პრობაციონერების კონტროლი ვერ ხორციელდება. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გადავიდეთ დაქტილსკოპიურ სისტემაზე — დაიდგმება აპარატები, რომლის საშუალებითაც თითოეული ადამიანი ოფისში გამოცხადდება აპარატზე თითის ანაბეჭდის დატოვებით დააფიქსირებს. ამასთან, ეს სისტემა შეუერთდება საერთო სასაზღვრო სისტემას, ანუ პრობაციონერი ვერ გავა ქვეყნიდან, თუ პრობაციის ოფისის ნებართვა არ ექნება. არ მინდა, რომ პრობაცია კიდევ ერთი სამართალ-დამცავი ინსტიტუტი იყოს. ის უფრო სოციალური მუშაობაა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ აქ დასაქმებულ პერსონალს პრობაციის ოფისებში შევინიშნავთ, ისინი სპეციალურ კურსებს გადიან სოციალურ მუშაობაში“, — განაცხადა ბატონმა მინისტრმა.

აქვე აღინიშნა იურიდიული დახმარების სამსახურის სპეციფიკაზე, რომელიც სოციალური და დავითადაა პიროვნების სავალდებულო დაცვას ახორციელებს. „ჩვენ ამ საქმიანობის გაფართოებას ვაპირებთ და დიდი იმე-

დი მაქვს, რომ თუ უნივერსიტეტი სურვილს გამოთქვამს, ერთობლივად შევიმუშავებთ სასწავლო პროგრამებს, როგორც პრობაციის ოფისებისთვის, ასევე სასჯელსრულების თანამშრომლებისთვის“, — აღინიშნა პრეზენტაციაზე.

საზოგადოება გაეცნო, ასევე, პატიმრობის ახალ კოდექსში განსაზღვრულ სიახლეებს და სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ახალ ინიციატივას — პატიმრობისთვის მოკლევადიანი შევებულებების მიცემის შესახებ. „იმის გამო, რომ საქართველოს სასჯელსრულების სისტემაში არ არსებობს ხანგრძლივი პატიმრობის პრაქტიკა, ჩვენ შევედით პარლამენტში წინადადებით, რომ შევიმუშაოთ მოკლევადიანი შევებულებები პატიმრობისთვის, რომლებიც კარგად იქცევიან და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობენ. მათ საშუალება ექნებათ — ერთიდან ხუთ დღემდე შევებულებით სარგებლობის. ამგვარი პატიმრობის კონტროლი განხორციელდება სამი მექანიზმით — თავდებობა, გირო ან ელექტრონული მონიტორინგის სისტემა. ჩვენ უკვე ვთანამშრომლობთ ევროპულ პარტნიორებთან, რომ ჩამოვიტანოთ ელექტრონული სამაჯურები, რომლებიც ფეხზე დამაგრდება და პატიმრის გადაადგილების აღრიცხვა ღმ-ის საშუალებით მოხდება“, — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელზეც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი, ჩაერთონ ზოგადად რეფორმისა და

პატიმრობის ახალი კოდექსის შემუშავების პროცესში.

საინტერესო აღმოჩნდა თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული წინადადება, რომელიც პატიმართა რესოციაციის პრობლემაზე მუშაობის პროცესში უნივერსიტეტის ჩართვას ითვალისწინებს.

წინადადებები ბატონ დიმიტრი შაშკინს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა ნინო დურგლიშვილმა გააცნო. იგი ითვალისწინებს კვლევის წარმოებას ორი მიმართულებით: 1) უკვე არსებული პროგრამების ტესტირებას მოცემულ პირობებში მათი ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით; 2) პატიმართა გამოკვლევას, მათი ფსიქოდეპრესიული კლასტრების გამოყოფას და თითოეული კლასტერის შესაბამისი ინტერესთა სფეროების განსაზღვრას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება რეკომენდაციების შემუშავება პატიმართა მრავალფეროვან ჯგუფებთან სამუშაო პროგრამებისათვის.

წარდგენილი წინადადების მიხედვით, შესაძლებელია არასრულწლოვან პატიმართა ჩართვა თსუ-ის ბაზაზე არსებული საბავშვო უნივერსიტეტის სწავლებაში.

ასევე განსაზღვრულია სოციოლოგიისა და სოციალური სამუშაოს მიმართულების სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში თვისებრივი კვლევის ჩატარება პატიმრობის და მომსახურე პერსონალთან. ამასთანავე, სოციალური სამუშაოს სპეციალობის სტუდენტები დაინტერესებულ პირებს სოციალ-



ური სამუშაოს უნარ-ჩვევებს გადასცემენ, რაც მათ შეუძლიათ გამოიყენონ როგორც საპატიმროში, ასევე პატიმრობის დასრულების შემდეგ.

დიმიტრი შაშკინმა მზადყოფნა გამოთქვა უნივერსიტეტთან ამ სახის თანამშრომლობაზე და აღნიშნა, რომ მჭიდრო კონტაქტები სამინისტროსა და უმაღლესი განათლების კერას შორის გააძლიერებს სასჯელსრულების სისტემის რეფორმირების პროცესს.

## კულტურული გაცვლითი პროგრამის (AIESEC) პრეზენტაცია თსუ-ში

თამარ მარუაშვილი

დღეს ქართველ სტუდენტებს კარგი შესაძლებლობა ეძლევათ — საკუთარი ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, მის საზღვრებს გარეთაც გაიღწიონ. ამ მხრივ, ყოველი ორგანიზაციისა თუ ფონდის შემოთავაზება საზღვარგარეთ ცოდნის მიღების თაობაზე სტუდენტთა დიდ ინტერესს იწვევს. თსუ-ის სტუდენტები ბევრ ასეთ საინტერესო პროექტში იღებენ მონაწილეობას.

8 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტურული გაცვლითი პროგრამის (AIESEC) პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ადგილობრივი კომიტეტის პრეზიდენტმა ეთერ მუნჯიშვილმა და ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიხეილ ცაგურიამ წარმოადგინეს.

AIESEC მსოფლიოში ყველაზე დიდი ორგანიზაციაა, რომელიც ახალგაზრდებისათვის საერთაშორისო პლატფორმას წარმოადგენს იმ კუთხით, რომ ეხმარება მათ — აღმოაჩინონ და განავითარონ საკუთარი პოტენციალი.

AIESEC თავის წევრებს, ყოველწლიურად, 5000 ლიდერულ პოზიციას სთავაზობს და

მთელ მსოფლიოში 32 000 წევრისათვის 350 კონფერენციას უწევს ორგანიზებას, გარდა ამისა, იგი 5500-მდე გაცვლით პროგრამასაც ახორციელებს, რაც საზღვარგარეთ გამოცდილების მიღების უნიკალური შესაძლებლობაა.

AIESEC 1948 წელს ჩამოყალიბდა. იგი 100-ზე მეტი ქვეყნის 1800 უნივერსიტეტშია წარმოდგენილი და ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს განავითარონ ლიდერული უნარ-ჩვევები; მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება და იმუშაონ საზღვარგარეთ; შექმნან გლობალური ქსელი მსოფლიოს ანალოგიურად მოაზროვნე ახალგაზრდებთან შეერთებით; გაამდიდრონ თავიანთი ცოდნა და გააძლიერონ თეორიული განათლება პრაქტიკული სამუშაოს გამოცდილების მიღებით.

AIESEC-ის სასწავლო გარემო სინერგიულ ეფექტს წარმოადგენს — ეს არის გარემო, რომელიც ეხმარება ადამიანებს თავიანთი პოტენციალის აღმოჩენასა და განვითარებაში, რაც AIESEC-ის წევრებს შორის გარკვეული კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას ქმნის.

„გაცვლითი პროგრამა არის ყველაზე ინტენსიური სასწავლო გამოცდილება, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ ახალგაზრდებს და რომელიც აკავშირებს მათ ჩვენს გლობალურ ქსელთან. ყოველწლიურად 4500-ზე მეტ

წევრს საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მენეჯმენტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, განათლების ან განვითარების სფეროებში მუშაობის შესაძლებლობით უზრუნველყოფთ.

ახალგაზრდა ადამიანებში ლიდერული უნარ-ჩვევების აქტივირება არის საფუძველი იმისა, თუ როგორ ვეხმარებით მათ — აღმოაჩინონ და განავითარონ თავიანთი შესაძლებლობა, დადებითი გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე. ჩვენ ამას ვაკეთებთ ყოველწლიურად 5000-ზე მეტი პრაქტიკული ლიდერული გამოცდილების შესაძლებლობის უზრუნველყოფით, ისევე როგორც 350-ზე მეტ კონფერენციასა და ათასობით ღონისძიებაზე უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებათა შეთავაზებით“, — განაცხადა ადგილობრივი კომიტეტის პრეზიდენტმა ეთერ მუნჯიშვილმა.

საქართველო AIESEC-ის საერთაშორისო ქსელს 2006 წლის მარტში შეუერთდა. პრეზიდენტის საერთაშორისო შეხვედრაზე წევრმა ქვეყნებმა კენჭი უყარეს ახალი წევრების მიღებას, რომელთაც შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოეთხოვებოდა. AIESEC-საქართველოს გენერალური პარტნიორია თავისუფალი უნივერსიტეტი.

AIESEC-საქართველო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს აძლევს

შესაძლებლობას — მონაწილეობა მიიღონ AIESEC-ის კულტურულ გაცვლით პროგრამაში, რომელიც მოიცავს მსოფლიოს 106 ქვეყანას: (ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში; დასავლეთ ევროპაში და ჩრ. ამერიკაში; შუა აზიასა და ჩრ. აფრიკაში; აფრიკაში; იბეროამერიკაში; ავსტრალიასა და ოკეანეთში). ეს არის ორთვიანი ზაფხულის გაცვლითი პროგრამა, რომელიც ქართველ სტუდენტებს მისცემს საშუალებას — მიიღონ დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება, განავითარონ პერსონალური და პროფესიული უნარები. მათ ეძლევათ მან-სი, გამოიყენონ ეს შესაძლებლობა, გაიმდიდრონ პროფესიული ცოდნა და გაიღწიონ თეორიული განათლება პრაქტიკული გამოცდილებით.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებმა უნდა გაიარონ 3 ეტაპი, სადაც მონაწილეობის ინფორმაცია უნდა იქნას შევსებული და სტუდენტის ზოგადი უნარები.

AIESEC-საქართველო წელიწადში რამდენიმეჯერ სტუდენტებს გაცვლით პროგრამებს სთავაზობს.

თსუ-ის სტუდენტების დიდი ნაწილი დაინტერესდა აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღებით.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ საიტს: [www.aiesec.ge](http://www.aiesec.ge)

## დოქტორ ჰაინც მაიერის საჯარო ლექცია

თამარ მარუაშვილი

22 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვენის უნივერსიტეტის დელეგაცია ესტუმრა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: პროფესორი, დოქტორი რიხარდ ტრაპლი, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ექსპერტი, ჩინეთის წარმომადგენელი ვენის უნივერსიტეტის სენატში და ვენის კონფუციის ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი რაინერ რუგე, ევროპის კავშირის საბჭოს ექსპერტი საგარეო და სამხედრო-პოლიტიკურ საქმეთა გენერალური სამმართველოს წარმომადგენელი, პროფესორი, დოქტორი ჰაინც მაიერი, ვენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი ეველინ მაიერი.



დელეგაციის წარმომადგენლები თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს შეხვდნენ. თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტზე წაიკითხეს საჯარო ლექციები აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე და დასახეს შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობები.

პროფესორმა, დოქტორმა ჰაინც მაიერმა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „ევროპის საკონსტიტუციო პროცესი და საქართველო“, სადაც მიმოიხილა ის ძირითადი ასპექტები, რომელიც ავსტრიის კონსტიტუციამ ევროკავშირში შესვლის შემდეგ განიცადა. მან, ასევე, ისაუბრა ევროკავშირში შესვლის უმნიშვნელოვანეს შედეგებზე, რომელმაც ქვეყნის მოდერნიზაცია და ფედერალური სტრუქტურების შეცვლა გამოიწვია.

დოქტორმა მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, თუ რა როლს თამაშობს ქვეყნის უსაფრთხოების შენარჩუნებაში ევროკავშირის წევრობის სტატუსი. ისაუბრა, აგრეთვე, ავსტრიის რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგობის გადარწმუნებლობაზე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მის მჭიდრო ინტეგრაციას ევროკავშირის წევრ სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან.

თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მადლობა გადაუხადა ვენის უნივერსიტეტის დელეგაციას, პროფესორ ჰაინც მაიერს საინტერესო მოხსენებების და იმედოვნებდა, რომ თსუ-სა და ვენის უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად გაღრმავდება.

# ტსუ-ის კულტურული დღეები საქართველოს უნივერსიტეტში

## ნათო მობლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტისა და კულტურის ცენტრი საქართველოს მასშტაბით კულტურული აქციის მართავს. აქცია სახელწოდებით „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული დღეები საქართველოს უნივერსიტეტში“ გორის, ქუთაისის, თელავისა და ბათუმის უმაღლეს სასწავლებლებში ხორციელდება.

კულტურული აქცია-კონცერტების გამართვის იდეის განხორციელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი ფოლკლორული ანსამბლის წარმატებული მოღვაწეობიდან გამომდინარე გადაწყდა. ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლი — „ტსუ“, ხალხურ საკრავთა ანსამბლი — „ტსუ-გორდელა“ და ვაჟთა ვოკალური ანსამბლი — „უნივერსიტეტი“ პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. აღსანიშნავია, რომ ანსამბლი „ტსუ-გორდელა“ გოგონებისგან შედგება და თითოეული მათგანი რამდენიმე ხალხურ, საკმაოდ იშვიათ საკრავზე უკრავს.

ტსუ-ის ფოლკლორული ანსამბლები უკვე იმყოფებოდნენ გორსა და ქუთაისში. ტსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელის ლილიკო ნემსაძის განცხადებით, ორივე ქალაქში გამართულმა კონცერტებმა მაყურებლის დიდი მონონება დაიმსახურა.

„პირველი გასვლა გორის უნივერსიტეტში გვექონდა. კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა, 500 კაციანი დარბაზი სავსე იყო. ადგილობრივებს ძალიან მოეწონათ ჩვენი სტუდენტები. გორის უნივერსიტეტს წიგნები წავუღვეთ საჩუქრად. მეორე კონცერტი ქუთაისში გაემართო და, რაც მთავარია, იქ გული და სული დავტოვეთ. ძალიან წარმატებულად ჩაიარა ყველა გამოსვლა. მართლა დიდი ბედნიერებაა, როცა თითოეულ საკონცერტო



ნომერზე დარბაზში ხმამაღალი ოვაციები ისმის. ცეკვის დროს ჩვენი ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრები თითქოს დაფრინავდნენ, ორ და სამმაგ ბრუნს აკეთებდნენ პაერში.

უახლოეს მომავალში ვგეგმავთ თელავის უნივერსიტეტში წასვლას, ჩვენი კულტურული აქცია ბათუმში ვიზიტით დასრულდება. ვფიქრობ, საქართველოს მასშტაბით კულტურული აქცია-კონცერტების გამართვა კარგი წამოწყებაა. იმედი, მომავალში უკვე ჩვენ

ვიქნებით აღნიშნული უნივერსიტეტების ფოლკლორული ანსამბლების მასპინძლები, — აღნიშნა ლილიკო ნემსაძემ.

ტსუ-დან ჩასულმა სტუმრებმა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს წიგნები, რომლებიც ტსუ-ის გამოცემების მიერ არის გამოცემული და გორის უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეირჩა.

„მინდა დიდი მადლობა გადაუხადო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ასეთი კარგი საჩუქრისთვის. აგვისტოს მიმე მოვლენების დროსაც ჩვენ დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდით ტსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებისგან და პირადად ბატონ გიორგი ხუბუასგან. მოხარული ვარ, რომ ტსუ-ის ინიციატივითა და ორგანიზებით გორში მშვენიერი ფოლკლორული საღამო გაიმართა. მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს სტუდენტების დაახლოებას და მათი კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას“, — განაცხადა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ზაზა ცოტნიაშვილმა.

ტსუ-ის აქცია „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული დღეები საქართველოს უნივერსიტეტში“ ივნისის ბოლოს დასრულდება. როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრში აცხადებენ, თბილისის უნივერსიტეტი ახალგაზრდებისთვის ცოდნის მიცემის გარდა, მათ კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაზეც.

## „მას საქართველო ჰქვია“

ლევან ანჯაფარიძის ფილმის პრეზენტაცია ტსუ-ში

### ნათო მობლაძე

22 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეჟისორ ლევან ანჯაფარიძის ფილმის ჩვენება გაიმართა. დოკუმენტური ფილმი — „მას საქართველო ჰქვია“ „ვარდების რევოლუციის“, 7 ნოემბრის მოვლენებს და, ზოგადად, საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ასახავს.

ლევან ანჯაფარიძის ფილმი — „მას საქართველო ჰქვია“ ქართველმა მაყურებელმა პირველად ტსუ-ში ნახა. რეჟისორის მცდელობა, რომ ფილმი ტელევიზიების მეშვეობით გაცხადებული ფართო აუდიტორიას ენახა, მარცხით დამთავრდა, რადგან ყველა ტელეკომპანიამ ფილმის ეთერში გაშვებაზე უარი განაცხადა.



ფილმის პირველი პრეზენტაცია პრალაში, დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე შედგა.

ლევან ანჯაფარიძის დოკუმენტური ნამუშევარი დადებითად შეაფასეს ევროკავშირის წარმომადგენლებმა და ქართული ოპოზიციის წევრებმა, რომლებმაც ფილმი სახალხო დამცველის ოფისში გამართულ ჩვენებაზე ნახეს.

რეჟისორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაციის „ახალგაზრდული ცენტრის“ თავმჯდომარემ დიანა ლიპარტელიანმა მოიხსია. ფილმის ჩვენება

ტსუ-ის მცირე საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. „ვფიქრობ, რომ ფილმი საკმაოდ ობიექტურად ასახავს საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს, ამიტომ ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლოა სტუდენტებისთვის მისი ჩვენება და მათი შეფასებები მოსმენა. მე არ ვარ ურნალისტი, ვარ კინორეჟისორი და ვეცადე, რომ არც ერთი ფრაზა კონტექსტიდან ამოგლეჯილი არ ყოფილიყო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ფილმი არის დამოუკიდებელი ნამუშევარი. გადაღებები არავის დაუსაზნორებია, ყველაფერი გაკეთდა ჩვენი საკუთარი თანხებით, პროდიუსერებიც მე და ჩემი მეუღლე ვართ“, — განაცხადა ლევან ანჯაფარიძემ სტუდენტებთან საუბრისას.

დოკუმენტური ფილმი — „მას საქართველო ჰქვია“ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენებს ასახავს, მასში ხაზგასმულია ჯერ კიდევ მოუგვარებელი პრობლემა — მიმე სოციალური ვითარება, მოცემულია რეჟისორის ხედავარსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით და, ასევე, თანამედროვე საზოგადო და კულტურის მოღვაწეების მოსაზრებები, რაც დაძაბული პოლიტიკური ვითარებიდან გამოსავლის გზების ძებნას ასახავს. ჯემალ ბაღაშვილი, მარი ჯანაშია, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე და, მათ შორის, ანა კალანდაძე (მისი კომენტარი რეჟისორმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჩანერა) საქართველოს სულიერების, ტრადიციებისა და მორალის შენარჩუნება-გადარჩენის თავისებურ ვერსიებს აყალიბებენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილმში ზურა ვაზაგაშვილისა და ბუტა რობაქიძის ოჯახების კადრები, სადაც რეჟისორს მთელი ყურადღება შეიღებების დაკარგვის შედეგად გამოწვეულ ემოციებსა და გრძნობებზე აქვს გადატანილი.

დოკუმენტური ფილმი სამების საკათედრო ტაძრის კადრებითა და „მამაო ჩვენოს“ გალობით სრულდება. როგორც ლევან ანჯაფარიძემ სტუდენტებს განუმარტა, რელიგიური ეპილოგის საშუალებით მას სურდა ეთქვა, რომ ხსნა ყოველთვის რწმენის გაძლიერებაშია.

ფილმი „მას საქართველო ჰქვია“ სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს. კინორეჟინება ლევან ანჯაფარიძისთან საუბრით გაგრძელდა. ახალგაზრდებს აინტერესებდა რეჟისორის სამომავლო გეგმები, მისი შეხედულებები ზნობრივ საკითხებთან მიმართებაში. შეხვედრის დასასრულს სტუმარმა ახალგაზრდებს, მათი სურვილის შემთხვევაში, კინო-რეჟისურის შესწავლაში დახმარებაც შესთავაზა.

## „ტსუ თაიმის“ სპეციალური ნომრის — „ახალგაზრდული ხედვა“ პრეზენტაცია

### შურთხია ბაროშვილი

18 მაისს ტსუ-ის ახალგაზრდული გაზეთის „ტსუ თაიმის“ სპეციალური ნომრის — „ახალგაზრდული ხედვა“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების პრობლემებს მიეძღვნა. „დღეს თუ ხვალ, სწორი, რაციონალური პოლიტიკის შედეგად, დიდი მტკვებით თუ მონანიებით, ხელის განვითარება თანადგომით საქართველო აუცილებლად იქნება ერთიანი“, — ასე გამოხატა ნომრის პასუხისმგებელმა რედაქტორმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა თათია თამლიანმა სტუდენტთა იმ ჯგუფის განწყობა, რომლებმაც არ დაიშურეს დრო და ენერჯია ამ მნიშვნელოვან თემატიკაზე სამუშაოდ.


„ჩვენთვის, როგორც ახალგაზრდული მედიაგამოცემისთვის, მნიშვნელოვანი იყო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის და ახალგაზრდობისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, რადგან ეს სამომავლო დაგეგმვებზე სწორი გადამწყვეტილებების მიღებაში“, — აღნიშნა თათია თამლიანმა.


გაზეთ „ტსუ თაიმის“ სპეციალურ ნომერში ვრცლად გაშუქდა რუსეთის ისტორია („ისტორიული რუსეთი: წარსული მომავლის განსჯისთვის“), ასევე დაიბეჭდა ინტერვიუები ისტორიკოს ვახტანგ გურულთან, ექსპერტთან მამუკა არემიძესთან, 90-იანი წლების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ნეო ბურჭულაძესთან, ტსუ-ის რექტორის გიორგი ხუბუას პოზიცია თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირებით („თვითგამორკვევა არ ნიშნავს გამოყოფის უფლებას“), გაზეთის სპეციალურ ნომერში საუბარია, ასევე, საქართველოს ეკლესიის როლზე კონფლიქტების მოგვარების საქმეში („საქართველოს პატრიარქი: „ამ ომში ვერავინ იქნება გამარჯვებული“). მნიშვნელოვანი პრობლემების ანალიზს ეძღვნება სტატიები: „რას ნიშნავს ავტონომიურობის პრინციპი?“, „საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების საკითხში“, „რას ელოდება საქართველო სტრასბურგის სასამართლოსგან“, „როგორი მდგომარეობაა ამჟამად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში“, „წავაგეთ თუ მოვიგეთ რუსეთთან საინფორმაციო ომი“ და სხვა.

გაზეთის ახალი ნომრის პრეზენტაციის

შემდეგ სტუდენტური საზოგადოების, ისტორიკოსთა და ექსპერტთა მონაწილეობით მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომლის თემა იყო „ქართველი ახალგაზრდების როლი კონფლიქტების მოგვარების საქმეში“.

გაზეთ „ტსუ თაიმის“ მთავარი რედაქტორის არჩილ კვიციანიშვილის თქმით, ასეთი შეხვედრები ხელს შეუწყობს ამ რეგიონებში კონფლიქტებთან მიმართებაში რეალური მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და, შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. როგორც შეხვედრაზე 90-იანი წლების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ნეო ბურჭულაძემ განაცხადა, თაობებს შორის კავშირი აუცილებელია. „ჩემი აზრით, ეს ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანია. მის-ახალგაზრდობის, რომ ახალგაზრდობა ინტერესდება — თუ რა მოხდა სინამდვილეში ამ კონფლიქტებთან დაკავშირებით, მითუმეტეს, რომ 90-იანი წლების შემდეგ საზოგადოებას ინფორმაცია არასწორად მიეწოდებოდა. ამიტომ ამის გამოსწორება აუცილებელია, რათა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. მნიშვნელოვანია ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და სწორი დიაგნოზის დასმა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენ კონფლიქტი აფხაზეთთან და ოსებთან კი არა, რუსეთთან გვექონდა. ამ საკითხებთან დაკავშირებით ახალგაზრდობის ხედვა მეტად საყურადღებოა — ამიტომ მივესალმები უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წამოწყებულ ყველა ინიციატივას“, — აღნიშნა ნეო ბურჭულაძემ.





**შპანასკნელ ხანს** ასტრობიოლოგებს შორის გაჩნდა ტერმინი „სიცოცხლე, რომელსაც არ ვიცნობთ“ — იგი სიცოცხლის არამინერალური ფორმებს გულისხმობს. ცნობილი ფიზიკოს-თეორეტიკოსი და კოსმოლოგი პოლ დეივისი კი უფრო შორს წავიდა და ორიგინალური პრობლემა წამოჭრა, რის მიხედვითაც სიცოცხლის უცნობი ფორმები აქვე, ჩვენს გვერდით, დედამიწაზე შეიძლება არსებობდნენ. სულ ახლახან, ამერიკის მეცნიერების განვითარების ასოციაციაში, სწავლულმა ნაიკითხა მოხსენება სათაურით: „ჩრდილოეთი სიცოცხლე, რომელსაც ჯერ არ ვიცნობთ“. მოხსენება ეყრდნობოდა ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი საბჭოს ანგარიშს, სადაც წამოჭრილი იყო საკითხი — შეეტანათ თუ არა სიცოცხლეთა საძიებო სიაში ეგრეთ წოდებული „უცნაური სიცოცხლე“, რომელშიც ალტერნატიული ბიოქიმიის მქონე სიცოცხლე იგულისხმება. პოლ დეივისმა საკითხი ცოტა სხვაგვარად დააყენა: „ხომ შეიძლება სიცოცხლე დედამიწაზე რამდენჯერმე ჩასახულიყო? ხომ შეიძლება სიცოცხლის სხვა ფორმები დღესაც არსებობდნენ პლანეტაზე, ექსტრემალურ პირობებში იმალებოდნენ და შეუმჩნეველი მხოლოდ იმიტომ რჩებოდნენ, რომ ჩვენი ხელსაწყოები სიცოცხლეს მხოლოდ ერთი, ნაცნობი ბიოქიმიის ფარგლებში ეძებს“.



მსოფლიო აბლაბუდის შემქმნელმა, ბრიტანელმა მეცნიერმა ბურნერს ლიმ განაცხადა, რომ ახლო მომავალში ინოვაციები ამ სფეროში მსოფლიოს გაოგნებულს დატოვებს. ბურნერს ლი, რომელმაც ორი ათეული წლის წინ, შვეიცარიის კვლევითი ცენტრში მუშაობის დროს, მსოფლიო მეცნიერებს ქსელის შესაქმნელად გაერთიანებისკენ მოუწოდოდა და პირველი პროგრამებიც დაწერა, დღესდღეობით მსოფლიო აბლაბუდის კონსორციუმს ხელმძღვანელობს. ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ინტერნეტის განვითარებისთვის დღევანდელი დღე მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. მსოფლიო აბლაბუდას წინ დიდი მომავალი აქვს და მისი უმთავრესი ნაწილი მობილური ტელეფონი გახდება.



კბილის ჯვარის და ბორმანქანა, როგორც ჩანს, მალე წარსულს ჩაბარდება. ლიდის სტომატოლოგიური კლინიკის სპეციალისტებმა პირის ჰიგიენისთვის შეიმუშავეს ახალი საშუალება, რომელიც ორგანიზმში ბუნებრივი კბილების ჩამოყალიბების პროცესებს იმეორებს. ეს მეთოდი ადამიანს საშუალებას მისცემს — დაზიანებული კბილი გაბურღვისა და დამკანის გარეშე ბუნებრივი მეთოდებით აღადგინოს. ამ გამოკვლევის შედეგად, ასევე, შეიქმნა პირში გამოსავლები სპეციალური სითხე, რომელიც აქტივობის შემდეგ იმ ბაქტერიებს სპობს, რაც ქვეების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მეცნიერთა განცხადებით, სითხე სამ წელიწადში ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. რაც შეეხება ბორმანქანას, მის შეცვლას ხუთ წელიწადში გეგმავენ. მათი მტკიცებით ეს იქნება ახალი პროტინი, რომელ-

იც კბილის ირგვლივ თავისებურ კარკასს შექმნის, მის ირგვლივ კი თავს ის მინერალური მოიყრის, რაც ბუნებრივი კბილების ფორმირებას განაპირობებს.



**რომორც** ჩანს, უახლოეს მომავალში, სკოლებში მასწავლებლებს რობოტები შეცვლიან. ასეთი საცდელი გაკვეთილი ტოკიოს ერთ-ერთ დაწყებით სკოლაში უკვე ჩატარდა. საიას — ასე ჰქვია რობოტ-მასწავლებელს, რომლის შექმნაზეც მეცნიერები თხუთმეტი წელი შრომობდნენ. ახლა მას სამეცნიერო პროგრამის შედგენა, პასუხის მიღება, მოსწავლის შეფასება და ბავშვების დატუქსავაც კი შეუძლია. ამ რობოტ-ანდროიდმა თავი შესანიშნავად ჯერ მისაღებში, მდივნის თანამდებობაზე გამოავლინა, ახლა კი, ძაღვს სასკოლო დაფასთან ცდის.

მეცნიერების განცხადებით, ეს რობოტი თავდაპირველად იმ კომპანიებისთვის შეიქმნა, ვისაც ეკონომიის მიზნით დაბალი რგოლის მოსამსახურეთა შეცვლა რობოტებით სურდათ. პედაგოგად მისი გარდაქმნის იდეა კი გაცილებით გვიან გაჩნდა.



**რამდენიმე** წელიწადში საბაზანო ოთახებში სენსორული სარკეები გაჩნდება, რომელიც მომხმარებელს შეახსენებს წამალი დალიოს, ხელები დაიბანოს ან კბილები გაიხეხოს. ეს მოწყობილობა ელექტრონიკის საერთაშორისო გამოფენაზე (CeBIT) იყო წარმოდგენილი. შექმნენელების განცხადებით, იგი უპირველეს ყოვლისა ხანდაზმული ადამიანებისთვისაა გათვლილი. ეს ნახევრად გამჭვირვალე სარკე საჭიროების დროს სპეციალურ სურათებს გამოსახავს. მაგალითად, თუ სურს შეგახსენოს, რომ ხელები უნდა გაიმშრало, მაშინვე გამოჩნდება სურათი, სადაც ხელებს პირსახოცი უჭირავს. თუ წამლის კარადას გააღებენ, მაშინვე მისაღები ტაბლეტების რაოდენობას მიუთითებს და ა.შ. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ახლო მომავალში სარკის შესაძლებლობების არეალი გაფართოვდება და თავადაც შეიძლება შემოგთავაზოს შხაპი მიიღო, თუკი დაიმასხოვრებს, რომ ამ დროს შხაპს ხშირად იღებ. სარკისთვის დავალებების მიცემა ხელის შეხებით ხდება და მას შეუძლია წყლის ტემპერატურაც კი დაარეგულიროს, თუკი ამას მოსთხოვენ.



**ამერიკაში** მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ინტერნეტი ადამიანის ტვინზე დადებითად მოქმედებს. იგი გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღებისა და ვეებერთელა ინფორმაციის გაფილტვრის უნარს აუმჯობესებს, თუმცა ემოციური გადატვირთვის ხარჯზე. კალიფორნიის უნივერსიტეტის მეხსიერებისა და დაბერების კვლევითი ცენტრის სპეციალისტებმა ახალი ექსპერიმენტით დაადგინეს, რომ ინტერნეტში ძიების დროს გონება გაცილებით უფრო აქტიურია, ვიდრე წიგნის კითხვის დროს. 24 მოხალისე მონაწილის გამოკვლევის შედეგად, მათ აღმოაჩინეს, რომ საიტებზე ძიებას ხელს უწყობდა შუბლის მიმდებარე ტვინის

მონაკვეთები, რომლებიც აბსტრაქტულ აზროვნებას და ნერვიულობას აკონტროლებს და აღზნება სულაც არ შეიძლება. თანაც ყველა ასაკის წარმომადგენლისთვის, განურჩევლად იმისა — ადრე ინტერნეტს იყენებდა თუ არა, ეს ეფექტი ერთგვაროვანი იყო. მიუხედავად ამისა, ცენტრის დირექტორი ჰარი სმოლი აცხადებს, რომ საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია და ციფრული ტექნოლოგიების ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება ევოლუციური ცვლილებები გამოიწვიოს.



**ფინეთში** პროგრამისტი ჯერი ჯილავი თავისი მოტოციკლით ავარიაში მოყვა და არათითი დაკარგა. ოპერაციის შედეგად ექიმმა ეს პრობლემა ძალიან ორიგინალურად გადაჭრა. მას დაუყენეს თითის ფორმის მქონე პროტეზი, რომლის ფრჩხილის ქვეშ ორგანიზმი იმალეობა. ასე რომ, პროგრამისტს ახლა პირდაპირ ხელით შეუძლია კომპიუტერთან მიერთება.

**პროგრამა** Google Ocean-ის დახმარებით უცნაური ობიექტი აღმოაჩინეს. ატლანტიდის შემსწავლელი ისტორიკოსების აზრით, ეს სწორედ ჩაძირული კონტინენტის ან კუნძულის ნაწილი შეიძლება იყოს. ობიექტი წარმოადგენს მართკუთხედს, რომელიც შიგნით ხაზებითაა დასერილი. ხაზები კი სწორ კუთხეებს ქმნიან. ეს უცნაური მოვლენა აფრიკის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროდან ათასამდე კილომეტრიც დაშორებით კანარის კუნძულების ახლოს აღმოჩნდა. ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის ისტორიული პროგრამების ხელმძღვანელის ჩარლზ ორსერის განცხადებით, ეს უცნაური ობიექტი სწორედ მითითი კონტინენტის არსებობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სავარაუდო ადგილას გამოჩნდა. შეგახსენებთ, რომ ატლანტიდა პირველად პლატონის დიალოგებში მოხსენიება. ამ წყაროს მიხედვით, ატლანტიდა წყალმა ჩვენს ნელთარციხვამდე დაახლოებით 9000 წლის წინ, ბუნებრივი კატაკლიზმის შედეგად დაფარა.



**ვატიკანში** განაახლეს ცოდვათა სია და უძველეს დროში შექმნილ შვიდ მიუტევებელ ცოდვას, გლობალიზაციის ეპოქის ნორმებიდან გამომდინარე, ახალი შვიდი ცოდვის ნუსხა დაუმატეს:

1. გარემოს დაზიანება.
2. მანიპულაციები გენების დონეზე.
3. ჭარბი სიმდიდრე.
4. სილატაკის „მისჯა“.
5. ნარკოტიკების მოხმარება და გავრცელება.
6. მორალურად საეჭვო ექსპერიმენტები.
7. ადამიანის ბუნების ფუნდამენტალური კანონების დარღვევა.



მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

<b>მთავარი რედაქტორი</b>	ნინო კაკულია	<b>რედაქციის მმართველი:</b>	ნოდარ ბელქანია, ვია მანაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭილაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი	<b>მისამართი:</b> ილია ჭავჭავაძის გამზ. 11* (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
<b>მთავარი სამცხალისტი</b>	მაია ტორაძე			
<b>ტექნიკური რედაქტორი</b>	მანანა ჯურხაძე			
<b>ფოტოკორესპონდენტი</b>	ლიკა პეტრიაშვილი			
<b>კომპიუტ. უზრუნველყოფა</b>	თამარ ქავჭარაძე			